ბიბლიოთეკა

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 176 (18418) პარასკევი, 30 ივლისი, 1982 წელი ფასი 3 კაპ.

ფერმებს—საკვების საიმედო მარაგი!

რესპუბლიკის სოფლის მშრომელებმა, რომლებიც აქტიურად შეუდგნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1982 წლის მაისის პლენუმის მიერ მოწონებული სასურსათო პროგრამის განხორციელებას, ივლისი საკვების დამზადების დამკვრელურ თვედ გამოაცხადეს. გარდაბნელ საკვებმომპოვებელთა თაოსნობით ყველა რაიონში გაჩაღდა სოციალისტური შეჯიბრება იმისათვის, რომ ნაყოფიერად გამოიყენონ ზაფხულის ხელშემწყობი დრო და მიზიდონ ფერმებთან საკვების საიმედო მარაგი, შექმნან ამით პირუტყვის პროდუქტიულობის ზრდის მტკიცე გარანტია.

საკვებწარმოებაში დადებითი გამოცდილება შეიძინეს მახარაძის, გურჯაანის, ხაშურის, ლაგოდეხის რაიონების მეურნეობებმა, სადაც საკვებს ამზადებენ და ნათესებს უვლიან სპეციალიზებული რაზმები, ბრიგადები და რგოლები. აქ შემუშავებული აქვთ საფურაჟე რესურსების გადიდების კომპლექსური პროგრამები, რომელთა განხორციელებას ჯეროვან ყურადღებას უთმობენ. ამის წყალობით არის, რომ ზემოხსენებულ რაიონებში გადამეტებით შეასრულეს სენაჟის ჩადების დავალებანი და თივის დამზადების საშუალო რესპუბლიკურ მაჩვენებელს მნიშვნელოვნად უსწრებენ.

ამგვარი მისაბაძი მუშაობის კიდევ ბევრი მაგალითის მოყვანა შეიძლება და, საერთოდ, უნდა აღინიშნოს, რომ რესპუბლიკაში ყოველწლიურად ალმავლობას განიცდის საკვებწარმოების ინტენსიფიკაცია. ამას მოწმობს ისიც, რომ წლითიწლობით სულ უფრო მეტი მრავალფეროვანი ფურაჟი მზადდება, მაგრამ მეურნეობებში ჯერ კიდევ ვხვდებით ამ დარგისადმი უგულისყურო დამოკიდებულების ფაქტებს. ჯერ კიდევ ყველა ადგილობრივი პარტიული, საბჭოთა და სამეურნეო ორგანო როდი ახორციელებს მინდვრისა და მდელოს საკვები სავარგულების პროდუქტიულობის ამაღლების ხელშემწყობ ღონისძიებებს. ამის გამო ზოგან მეტისმეტად მცირეა ჰექტარი სათიბ-საძოვრის უკუგება.

შარშან ნათესების ცუდი მოვლა-პატრონობის გამო ცხაკაიას რაიონის კოლმეურნეობებში, ადიგენის, დუშეთის, წულუკიძის, გეგეჭკორის და სხვა რაიონების საბჭოთა მეურნეობებში სასილოსე სიმინდის ჰექტარობრივმა მოსავლიანობამ საშუალო რესპუბლიკური მაჩვენებლის მხოლოდ მესამედი შეადგინა, რითაც ათიათასობით ტონა წვნიანი საკვები დააკლდა ფერმებს.

ამ გარემოებას საგანგებო ყურადღება მიექცა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის 1982 წლის VII პლენუმზე; ამხანაგმა ე. ა. შევარდნაძემ თავის მოხსენებაში აღნიშნა, რომ „მარტო აგროტექნიკის უკეთ დაცვით რესპუბლიკაში შეიძლებოდა სულ ცოტა ერთისამად გაგვეზარდა სასილოსე სიმინდის მოსავალი, მიგვეღო დამატებით მილიონ ტონამდე სასილოსე მასა, რაც მთლიანად დააკმაყოფილებს ამ სახეობის საკვებზე ჩვენი საზოგადოებრივი ჯოგის მოთხოვნილებას“.

იმისათვის, რომ თითოეული მეურნეობა სრულად უზრუნველყოფდეს მეცხოველეობის მოთხოვნილებას მაღალხარისხოვან უხეშ, წვნიან და საძოვრულ საკვებზე, ეფექტიანად უნდა გამოვიყენოთ თითოეული ჰექტარი მიწა და განსაკუთრებით მთის სათიბ-საძოვრები, მით უმეტეს, რომ ჩვენი ალპური საძოვრების ძირეული და ზედაპირული გაუმჯობესებისათვის ჯერჯერობით ძალზე ცოტა რამ კეთდება. აქ სავარგულებს მიეძალა შხამა, ნარ-ეკალი, რომლებიც ხელს უშლის სხვა ბალახების გავრცელებას.

დროა, ამ საქმეს მოფიქრებულად, გულდასმით მოეკიდონ სოფლის მეურნეობის სამინისტრო, „საქსახსოფლტექნიკა“ და სხვა შესაბამისი უწყებები.

მისახედია, საერთოდ, მინდვრისა და მდელოს საძოვრული საკვებწარმოების შემდგომი ინტენსიფიკაცია, რათა მთლიანად დაკმაყოფილდეს ფურაჟზე არა მარტო საზოგადოებრივი, არამედ პირადი საკარმიდამო მეცხოველეობის მოთხოვნილებაც.

რედაქციაში მოდის სიგნალები იმის თაობაზე, რომ ზოგიერთი მეურნეობის ხელმძღვანელი აჭიანურებს მოსახლეობის პირუტყვისათვის თივის გამოყოფას, და არც საძოვარს იმეტებს. ეს დასაგმობი პოზიციაა.

შეუწყნარებელია ისიც, რომ ბევრგან მარტო მდელოს თიბავენ და ბალახი გაუხეშებულია გზისა და არხის პირებზე, ხევებში, პარკებსა და ეზოებში. ამასთან ზოგან დამზადებული სენაჟის მნიშვნელოვანი ნაწილი უკვე შეჭმული აქვს პირუტყვს.

საკვების დროული აღებისა და დაბინავების ტემპის დაჩქარების დიდმნიშვნელოვანი ფაქტორია გამართული ტექნიკა, მისი შეუფერხებელი მუშაობა, მაგრამ ივლისის დამდეგისათვის სიღნაღის, თელავის, მარნეულის, ბოლნისის რაიონებსა და აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში ყველა სატრაქტორო სათიბელა და წნეხ-ამკრები როდი მონაწილეობდა ფურაჟის დაგროვებაში.

უთუოდ ტექნიკის ეფექტიანი გამოყენებისადმი ნაკლები ყურადღებით უნდა ავხსნათ ის ფაქტი, რომ ივლისის მესამე დეკადაში უხეში საკვები დავალების ნახევარი აქვთ მომარაგებული ქარელის, საგარეჯოს, ახალციხის, თეთრი წყაროს რაიონების მეურნეობებს. უფრო ჩამორჩებიან სამტრედიის, წულუკიძის, ვანის რაიონებში. თივის დამზადება ყოვნდება თელავის, ყვარლის რაიონებში, სამხრეთ ოსეთში, აჭარაში, სადაც ამ სახეობის საკვები საშუალო რესპუბლიკურზე ნაკლებია დამზადებული; მინდვრებიდან ნამჯის გამოტანას არ ჩქარობენ და საკვების ამ დიდ რესურსს ღია ცის ქვეშ ავდარს აფუჭებინებენ წითელწყაროს, ახმეტის, მარნეულის, ბოლნისის, თეთრი წყაროს და სხვა რაიონების მეურნეობები.

საკვების დამზადების გაჭიანურება ხარისხის დაქვეითებასთან ერთად დიდ დანაკარგებს იწვევს და ეს განსაკუთრებით შეუწყნარებელია წლევანდელი უამინდობის პირობებში. ჭირვეულ ამინდებში განსაკუთრებული ოპერატიულობა და ტექნიკის გონივრული მანევრირება მართებთ საკვებმომპოვებლებს იმისათვის, რომ მწვანე მასა დროულად აიღონ და სენაჟად ჩადონ, მაგრამ ზოგან უამინდობის მომიზეზებით ამ საქმეს აყოვნებენ ან კიდევ ჩქარობენ და საბოლოოდ უხარისხო საკვებს იმარაგებენ. მხოლოდ თიბვის ორგანიზაციისადმი ზერელე დამოკიდებულება და არა უამინდობაა იმის მიზეზი, რომ ახმეტის რაიონის ოჟიოს საბჭოთა მეურნეობაში, სიღნაღის რაიონის ქვემო მაჩხაანის კოლმეურნეობაში და წითელწყაროს რაიონის არხილოსკალოს კოლმეურნეობაში ასობით ტონა უხარისხო სენაჟი დაამზადეს. ეტყობა, ამ მეურნეობათა ხელმძღვანელებს სათანადო დასკვნები არ გამოუტანიათ შარშანდელი გაკვეთილებიდან, როცა უყუათო საკვებით გაუჭირდათ ფერმის პროდუქციის გადიდება.

ფურაჟის ხარისხის გაუმჯობესებისადმი გულგრილი დამოკიდებულება იმის შედეგიც არის, რომ საკვების დამზადების მიმდინარეობას ყოველდღიურ კონტროლს არ უწესებენ ადგილობრივი პარტიული ორგანიზაციები, სახალხო და საზოგადოებრივი კონტროლის მუშაკები.

არადა, საკვების დამზადებისათვის ზრუნვა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ამასწინანდელ დადგენილებაში სამართლიანად საერთო-სახალხო საქმედ, ტრადიციულ მასობრივ საქმედ არის მიჩნეული. საკვების დამზადებაში სოფელს აქტიურად უნდა დაეხმარონ ქალაქელი შეფები — სამრეწველო საწარმოები, სხვა დაწესებულებათა კოლექტივები.

საკვების დამზადება პარტიული ორგანიზაციების ყურადღების ცენტრში უნდა იყოს. დიდი მნიშვნელობა ენიჭება თიბვაში კომუნისტთა მისაბაძ მაგალითს, მათს ზრუნვას სოციალისტური შეჯიბრების ქმედითობისათვის. საქმის წარმატებისათვის არანაკლები მნიშვნელობა აქვს იმას, თუ რამდენად ეფექტიან ღონისძიებებს განვახორციელებთ საკვებმომპოვებელთა მატერიალური და მორალური წახალისებისათვის, მათი შრომისა და დასვენების პირობების გაუმჯობესებისათვის.

კარგად უნდა გვახსოვდეს, რომ ფურაჟით ფერმის მთელი სულადობის უზრუნველყოფა სასურსათო პროგრამის განხორციელებისათვის ბრძოლაში მნიშვნელოვანი პირობაა.

სწორედ ამას გვისახავს მიზნად და გეგმა-ვალდებულებების წარმატებით შესრულებისათვის ახალ ძალას გვმატებს სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილება „სსრ კავშირის შექმნის მე-60 წლისთავისათვის მოსამზადებლად საქართველოს სსრ პარტიულ ორგანიზაციათა ორგანიზატორული და პოლიტიკური მუშაობის შესახებ“, რომელშიც მოწონებულია რესპუბლიკის ეკონომიკური და სოციალური განვითარებისათვის გაწეული დიდი მუშაობა, დასახულია ამოცანები ახალი მიჯნების მისაღწევად.

ეს დღეები სოფლად

სიღნაღი

ჩვენი რაიონის პარტიული ორგანიზაცია, ყველა მშრომელი უდიდესი ინტერესით ეცნობა და მხურვალედ იწონებს სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებას „სსრ კავშირის შექმნის მე-60 წლისთავისათვის მოსამზადებლად საქართველოს სსრ პარტიულ ორგანიზაციათა ორგანიზატორული და პოლიტიკური მუშაობის შესახებ“.

დადგენილებაში სხვა მნიშვნელოვან მიღწევებთან ერთად აღნიშნულია წარმატებები, რომლებიც უკანასკნელ ათწლეულში მოპოვებული სოფლად. „პარტიული ორგანიზაციების, კომუნისტების, ქალაქისა და სოფლის ყველა მშრომელის ყურადღების ცენტრშია სასურსათო პროგრამით დასახული ამოცანები“, — ნათქვამია დადგენილებაში. დიახ, ყურადღების ცენტრშია სასურსათო პროგრამით დასახული ამოცანები. სიღნაღის რაიონის მშრომელები ამინდის ჭირვეულობას არ ეპუებიან და ყოველ ღონეს ხმარობენ, რათა წლევანდელი საიუბილეო წლის დავალებანი გადაჭარბებით შეასრულონ.

მინდვრად პურეულის აღლობა დამთავრდა. უამინდობამ ყანები დაგვიზიანა, მაგრამ ყველაფერი ვიღონეთ, რათა რაც დარჩა, არ დაგვეკარგა და მთელი მარცვლეული საწყობში უკლებლივ დავაბინავეთ. ვენახებსაც გაუჭირდა, ადგილ-ადგილ სეტყვამაც დაგვიზიანა, მაგრამ ყურძნის მოსავლის შესანარჩუნებლად ჩვენი მშრომელები ზვრებში ენერგიის დაუზოგავად შრომობენ. ვფიქრობთ, უხვი რთველი გვექნება.

ჩვენი კოლმეურნეობის ყველა მშრომელის ერთსულოვანი გადაწყვეტილებაა საპატიო წვლილი შეიტანონ სასურსათო პროგრამის განხორციელებაში. ეს იქნება ჩვენი პასუხი სკკპ ცენტრალური კომიტეტის ამასწინანდელ დადგენილებაზე.

გ. გელაშვილი,
სიღნაღის რაიონის ბოდბისხევის კოლმეურნეობის თავმჯდომარე.

საჩხერე

— არც ერთი კომლი — კოოპერირების გარეშე! — ასეთი მოწოდებით მიმართეს ჭალოვანის სასოფლო საბჭოს მუშა-მოსამსახურეებმა რაიონის მშრომელებს. თაოსნობას ფართოდ დაუჭირეს მხარი ყველა სოფელში, გაიმართა კრებები, დაიანგარიშეს, დააზუსტეს თავიანთი შესაძლებლობანი და მასობრივად დაიწყო სოფლის მცხოვრებთა ჩაბმა კოოპერირებაში.

1500 მცხოვრებმა გააფორმა ხელშეკრულება საზოგადოებრივ მეურნეობებთან. ახლა პირუტყვს და ღორებს ზრდის 450 ოჯახი, ხოლო 950 კომლი საკუთარი ფურისაგან წარმოებულ პროდუქტებს მიჰყიდის სახელმწიფოს.

კორბოული რაიონის ყველაზე დიდი სოფელია. თავისი მდებარეობით იგი ხელსაყრელია მეცხოველეობის განვითარებისათვის. ამ თავისებურებათა გათვალისწინებით მიუდგნენ ადგილობრივი ხელმძღვანელები სასურსათო პროგრამის შესრულებაში აქაურ მკვიდრთა ჩაბმას. მოსახლეობისათვის პირუტყვის სადგომების ასაგებად უკვე გაიცა 7 ტონა ცემენტი, 450 ცალი შიფერი, 1500 საკედლე ბლოკი. კოოპერირებაში ჩაებმება 700 კომლი და ისინი სახელმწიფოს მიჰყიდიან 44 ტონა საქონლისა და 9 ტონა ღორის ხორცს. ხუთწლედის ბოლოსათვის ეს მონაცემები სულ ცოტა სამჯერ გაიზრდება.

სასურსათო პროგრამის შესრულებისათვის გაჩაღებულ სახალხო ლაშქრობაში აქტიურად მონაწილეობენ ჭალაურთის, მოხვის, პერევის, სავანის, არგვეთის, საირხის, სარეკის და სხვიტორის მშრომელები.

ო. ნიქაბაძე,
„კომუნისტის“ საკ. კორ.



თეიმურაზ გოგიაშვილი „თბილისგვირაბმშენის“ გვირაბგამყვანთა კომპლექსური ბრიგადის ხელმძღვანელია. მისი კოლექტივი თბილისის მეტროპოლიტენის მესამე რიგის მშენებლობაზე შრომობს. ბრიგადა ზლობინის მეთოდით მუშაობს და წარმატებითაც.

თეიმურაზმა 1974 წელს დაამთავრა ტყიბულის საშუალო სკოლა. შემდეგ პირნათლად მოიხადა თავისი მოქალაქეობრივი ვალი საბჭოთა არმიის რიგებში და შევიდა თბილისის № 26 პროფტექნიკურ სასწავლებელში. 1977 წლიდან იგი თბილისის მეტრომშენებელია.

შარშან წარჩინებული შრომისათვის თეიმურაზი დაჯილდოვდა ლენინური კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის საპატიო ნიშნით — „ხელმარჯვე ოსტატი“. ამ წელსვე ახალგაზრდა ოსტატს პარტიის რიგებში იღებენ. იგი სრულიად საკავშირო ალკკ XIX ყრილობის დელეგატი იყო.

სურათზე: თ. გოგიაშვილი.

ა. სააკოვის ფოტო.

გრენადის დელეგაცია ლენინგრადს გაემგზავრა

28 ივლისს მოსკოვიდან ლენინგრადს გაემგზავრა გრენადის პარტიისა და მთავრობის დელეგაცია ჯუელის ახალი მოძრაობის პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს თავმჯდომარის, სახალხო რევოლუციური მთავრობის პრემიერ-მინისტრის მორის რუპერტ ბიშოპის მეთაურობით. დელეგაცია ჩვენს ქვეყანაში ოფიციალური ვიზიტად არის სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და საბჭოთა მთავრობის მოწვევით.

აეროდრომზე დელეგაცია გააცილეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრმა, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ნ. ა. ტიხონოვმა, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრმა, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანმა მ. ს. გორბაჩოვმა, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატმა, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ბ. ნ. პონომარიოვმა და სხვა ოფიციალურმა პირებმა.

ლენინგრადში გაფრენის წინ მ. ბიშოპი გამოვიდა საბჭოთა და საზღვარგარეთელი კორესპონდენტებისათვის გამართულ პრესკონფერენციაზე. (საკდესი).

◆

მტკიცე პროტესტი

თბილისის ფერადი ტელევიზორების ქარხნის ასობით მუშა-მოსამსახურე შეიკრიბა მიტინგზე, რათა გადაჭრით დაეგმოთ ისრაელის მხედრიონის ავაზაკური მოქმედება ლიბანის მშვიდობიან მიწა-წყალზე, გამოეხატათ სოლიდარობა სამშობლოს თავისუფლებისათვის ლიბანელი ხალხის სამართლიანი ბრძოლისადმი.

— ისრაელის მთავრობა მთელი მსოფლიოს წინაშე წარსდგა როგორც პირსისხლიანი ჯალათი, რომელმაც ტერორი სახელმწიფო პოლიტიკად გადააქცია, — ხაზგასმით აღნიშნა საწარმოს პარტბიუროს მდივანმა გ. პატარაიამ. — ისრაელი აგრესორებისა და მათი ოკეანისგაღმელი დამქაშების ავანტიურა უშუალო საფრთხეს უქმნის ქვეყნად მშვიდობას.

— მიტინგზე გადაჭრით დაგმეს ვანდალიზმის აქტები, რომლებსაც სჩადის ისრაელი. მიტაცებულ ტერიტორიებზე, მხურვალედ დაუჭირეს მხარი ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტისადმი ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის მოწოდებას მუშებმა ი. ქემოკლიძემ, ვ. ბექაშვილმა, მთავარი ინჟინრის მოადგილემ ი. დეგტიარიოვმა, საგეგმო-საწარმოო განყოფილების უფროსმა დისპეტჩერმა ს. მათევოსიანმა.

• • •

თბილისის სპორტული ნაწარმის ექსპერიმენტული ფაბრიკის კოლექტივმა საწარმოში გამართულ მიტინგზე თავისი ხმა შეუერთა მოთხოვნას, რომ შეწყდეს ლიბანში დანაშაულებრივი აქცია.

დაუშვებელია, რომ თანამედროვე ბარბაროსები დაუსჯელად დათარეშობდნენ მათ მიერ ოკუპირებულ ტერიტორიებზე, — თქვა ფაბრიკის დირექტორმა ვ. ასატიანმა.

ვიზიარებთ იმ დედების მწუხარებას, რომლებმაც დაკარგეს შვილები, ახლობლები, განაცხადეს მუშებმა ნ. ზურაბაშვილმა, მ. მუსერიძემ, სამკერვალო საამქროს ბრიგადირმა გ. რურუამ, ინჟინერ-ტექნოლოგმა ე. ინაშვილმა, პარტბიუროს მდივანმა მ. ინანეიშვილმა. პასუხისმგებლობა თელ-ავივის დანაშაულისათვის თეთრ სახლს აკისრია. სწორედ თეთრი სახლი უჭერს მხარს და აქეზებს ავაზაკობასა და თარეშს, რასაც ისრაელი მხედრიონი სჩადის. მიტინგების მონაწილეები აცხადებენ, რომ სოლიდარობენ ლიბანელ და პალესტინელ ხალხებს. ერთსულოვნად მიღებულ რეზოლუციებში ხაზგასმულია, რომ ეს დებულებანი და მიმართვა ჩვენი ქვეყნის პრინციპული საგარეო პოლიტიკის კიდევ ერთი ნათელი გამოვლინებაა, პოლიტიკისა, რომლის მიზანია მშვიდობისა და უშიშროების უზრუნველყოფა, იმპერიალისტური აგრესიის, ზეგავლენისა და შანტაჟისათვის საკადრისი პასუხის გაცემა. (საქინფორმი).

60 საიუბილეო დამკვრელურ ვახტზე

532.000 ტონა ჩაისათვის!

ფოთოლს ხელადებით ვინ კრეფს?

ტყიბულელი მეჩაიეები ყოველწლიურად ზრდიან ჩაის ფოთლის მოსავალს. ამ ტრადიციას არც ახლა ღალატობენ, დარსა და ავდარში კრეფენ ჩაის ფოთოლს. 26 ივლისისათვის ზონაში დამზადებული იყო 5.707 ტონა ნედლეული.

სახელოვანმა მეჩაიეებმა წლეულს შარშანდელზე მაღალი მიჯნის მიღწევა გადაწყვიტეს — მოკრიფონ და მრეწველობას გადასამუშავებლად ჩააბარონ 13 ათასი ტონა ფოთოლი, თანაც მხოლოდ საუკეთესო ხარისხისა. ჯერჯერობით შედეგი კარგია. დღემდე მოკრეფილი ჩაის ფოთლის 81 პროცენტი პირველი ხარისხისაა, მაგრამ ეს დამშვიდების უფლებას როდი იძლევა. ჩაის პლანტაციების დათვალიერებამ, ჩაის მრეწველობის მუშაკებთან შეხვედრამ დაგვარწმუნა, რომ არის ბევრი ხელშემშლელი მიზეზი, რაც ჩაის ფოთლის გაუხეშებას და პროდუქციის ხარისხის გაუარესებას იწვევს.

მეჩაიე კოლმეურნეობები მოკრეფილ ფოთოლს ორპირისა და ტყიბულის ჩაის ფაბრიკებს აბარებენ. ორივე ფაბრიკამ რომ სრული სიმძლავრით იმუშაოს, დღე-ღამეში 128 ტონა ფოთოლი უნდა გადაამუშაოს. ფაქტობრივად მეჩაიეები მეტ ნედლეულს ამზადებენ. განსაკუთრებით ვერ აუდიან ფაბრიკები მოზღვავებულ მოსავალს პიკის დღეებში. ეს პრობლემა კარგა ხანია, რაც აფიქრებს ნედლეულის დამამზადებლებსა და გადამმუშავებლებს. გადაიდგა პირველი ნაბიჯებიც. დაპროექტდა ახალი მძლავრი ფაბრიკა სოფელ გურნის ტერიტორიაზე, მაგრამ მისი მშენებლობის დაწყებას ჯერჯერობით საშველი არ დაადგა.

შარშან გაზაფხულზე ცუცხვათის კოლმეურნეობამ საკუთარი სახსრებით დაიწყო ჩაის მიკროფაბრიკის მშენებლობა. ყველას ეგონა, რომ საწარმო სეზონის ბოლოს თავის პირველ პროდუქციას გამოუშვებდა, მაგრამ, სამწუხაროდ, მშენებლობა გაჭიანურდა და იგი დღესაც არ არის დამთავრებული.

ტყიბულის ჩაის ფაბრიკაში ჯერ კიდევ გასულ სეზონში დაინერგა ნედლეულის უტარო გაზიდვა, ფაბრიკის მიმღებ საამქროში დამონტაჟდა საჭირო დანადგარ-მოწყობილობანი. ეს კარგია, მაგრამ ფაბრიკას არ ყოფნის სპეციალური დანიშნულების თვითსაცლელი ავტომანქანები, ამიტომ პერიფერიული პუნქტებიდან ჩაის ჩვეულებრივი სატვირთო ავტომანქანებით ეზიდებიან, რაც, გარდა იმისა, რომ აძნელებს ნედლეულის გადმოტვირთვის პროცესს, მნიშვნელოვნად აზიანებს ჩაის დუყებს;

ფაბრიკაში მოსაგვარებელია სხვა საკითხებიც: უწინარეს ყოვლისა, ფაბრიკის ელექტროენერგიით შეუფერხებელი კვება. 9 ივნისს დილის 2 საათზე ელექტროდენის მოულოდნელმა გამორთვა-ჩართვამ გადაწვა ჩაის საღნობი ლუმლისა და ხუთი როლერის ძრავა. ეს რომ პირველი შემთხვევა იყოს, არაფერს ვიტყოდით..

ჩაის ფაბრიკების ნორმალური მუშაობის შეფერხებაში ბრალი ზოგჯერ დამამზადებლებსაც მიუძღვით. ისინი ყოველთვის არ იცავენ ჩაის ფოთლის დამზადებისა და ფაბრიკაში გადატვირთვის ტექნოლოგიას. ნედლეულში არის შერეული 10-15 სანტიმეტრი სიგრძის უხეში ფოთოლი. ნაზი დუყების გადასამუშავებლად გაანგარიშებული მანქანები ვეღარ უძლებს უხეში ფოთლის გადამუშავებით გამოწვეულ დატვირთვას და ნაადრევად გამოჰყავს მწყობრიდან აგრეგატები.

ყველაზე საგანგაშო მაინც ის არის, რომ ისე, როგორც შარშან, წლეულსაც გადასამუშავებელი ნედლეულის მასას პლანტაციიდან მოჰყვება ლითონის საჭრელი იარაღები, რომლებიც აზიანებენ დანადგარ-მოწყობილობებს, ავარიულ სიტუაციას ქმნიან ფაბრიკაში.

ბევრი მეჩაიე კოლმეურნე, როგორც ეს პარტიის საქალაქო კომიტეტისა და ქალაქის საბჭოს აღმასკომის მიერ ივნისის პირველ დეკადაში მოწყობილმა მასობრივმა რეიდებმა ცხადყო, რატომღაც გადაეჩვია სახელმწიფო სტანდარტით დაწესებული ფოთლის კრეფას, ისარგებლეს რა კოლმეურნეობათა გამგეობების უკონტროლობითა და წაყრუებით, ისინი გადავიდნენ ფოთლის ხელადებით კრეფაზე. მაგალითად, კონტროლიორები პლანტაციაში თავზე წაადგნენ ოჯოლის კოლმეურნეობის მეჩაიეებს ნანულის და დარეჯან ჩუბინიძეებს, რომლებიც ყოველგვარი წესის დარღვევით კრეფდნენ ჩაის ფოთოლს.

კიდევ უფრო აღმაშფოთებელი ფაქტები გამოვლინდა სოჩხეთის კოლმეურნეობაში. აქ ფოთლის ხელადებით კრეფაში წაასწრეს მეჩაიე მერგოლეურს რუსიკო არსენიძეს. მას ოცი კილოგრამი უხარისხო ჩაის ფოთოლი აღმოაჩნდა მოკრეფილი. მერგოლეურის ცუდ მაგალითს მიჰბაძეს ლიდა კვირიკეიშვილმა, მ. ბეშკენაძემ და ელენე ივანეიშვილმა. ამავე დღეს რეიდის მონაწილენი ორპირის გამსხვილებული კოლმეურნეობის მერვე ბრიგადას ეწვივნენ, რომელსაც კომუნისტი ა. მახვილაძე ხელმძღვანელობს. მაგრამ აქაც უხარისხოდ იკრიფებოდა ჩაის ფოთოლი.

კოლმეურნეობის პარტიული კომიტეტის მდივანთან რ. ჭიქაბერიძესთან, აგრონომ გ. ჩხიკვაძესთან ერთად მეათე ბრიგადის ჩაის პლანტაციებს ვეწვიეთ. ხავერდოვან ბუჩქებს აშკარად აკლია ადამიანის მზრუნველი ხელი. პლანტაციებს სარეველები და ეკალ-ბარდები მოსძალებია.

როგორც ჩანს, ჩაის ძველი ღირსების აღდგენისათვის გაჩაღებული ბრძოლა ტყიბულის ზონის კოლმეურნეობებში დღემდე ჯეროვან დონეზე არ მიმდინარეობს. ამ ბრძოლაში კი თავისი გადამწყვეტი სიტყვა უნდა თქვან კომუნისტებმა და უპარტიო აქტივისტებმა, სახალხო დეპუტატებმა. მთელი ენერგია უნდა მოვახმაროთ ჩაის ფოთლის კრეფის როგორც რაოდენობრივ ზრდას, ისე მისი ხარისხის გაუმჯობესებას, ქართული ჩაის დიდების დაცვა-აღდგენას.

ვ. ცირეკიძე,
„კომუნისტის“ საკ. კორ.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის ივლისის დადგენილების კვალდაკვალ

სარეზერვო ყულაბა

დიდი შეფასება გვავალებს...

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მაისის პლენუმზე და საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის IX პლენუმზე დიდი ყურადღება მიექცა რეზერვების გამოძებნასა და ამოქმედებას. ჩვენი გაზეთის მკითხველი შეამჩნევდა, რომ „კომუნისტის“ ფურცლებზე ამასთან დაკავშირებით დაიბეჭდა რამდენიმე მასალა რუბრიკით — საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმის გადაწყვეტილებათა კვალდაკვალ. სამინისტროები, უწყებები ახალ გადიდებულ ვალდებულებას კისრულობენ. ვალდებულებათა შესრულების ძირითადი წყარო რეზერვებია.

დღეიდან გაზეთ „კომუნისტის“ რედაქცია რუბრიკით „რეზერვების ყულაბა“ იწყებს ახალი ვალდებულებების ბეჭდვას. განსხვავება ის იქნება, რომ ამჯერად წერილები დაიბეჭდება ადგილებიდან — სამრეწველო და სასოფლო-სამეურნეო საწარმოებიდან. დღეს ვბეჭდავთ წითელწყაროს რაიონის სოფელ ჯაფარიძის კოლმეურნეობის თავმჯდომარის, სოციალისტური შრომის გმირის ნ. ყოჩიაშვილის წერილს.

ყაირათიანობა სიუხვის წყაროა

ძვრები და გარდაქმნები, რომლებიც სკკპ ცენტრალური კომიტეტის მაისის პლენუმის, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის VII და IX პლენუმების გადაწყვეტილებათა მიღების შემდეგ ხდება სოფლის მეურნეობაში, ჩვენი მუშაობის გარდაქმნასაც მოითხოვს. მეურნეობა, რომლის ხელმძღვანელი მარტო გეგმების შესრულებით კმაყოფილდება, საზოგადოებრივ საქმიანობას წინ ვერ წასწევს. თუ ყოველდღიურად არ იფიქრე, არ იზრუნე რა გზით, რას საშუალებებით გაზარდო პროდუქცია, გააიაფო მისი თვითღირებულება, ვერ განამტკიცებ მეურნეობის ეკონომიკას, კოლექტივს ახალს ბევრს ვერაფერს შემატებ. სასურსათო პროგრამა ახლებურად, შემოქმედებითად ფიქრის, ზრუნვისა და ძიების პროგრამაა.

ავიღოთ ჩვენი კოლმეურნეობის მაგალითი:

შარშან ვაწარმოეთ 490 ტონა ხორცი, საგეგმოზე 80 ტონით მეტი, 1.545 ტონა რძე, საგეგმოზე 58 ტონით მეტი, 231 ცენტნერი მატყლი. 14 ცენტნერით მეტი. ასევე დიდი გადამეტებით შევასრულეთ სახელმწიფოსათვის პროდუქტების მიყიდვის შარშანდელი და წლევანდელი 6 თვის ვალდებულებანი. დავიმსახურეთ გარდამავალი დროშები, ფულადი ჯილდოები. განსაკუთრებით აღსანიშნავია ჩვენი საკვებმომპოვებლების წარმატება (ბრიგადირი გ. შარმაზანაშვილი), რომლებმაც შარშან წლინახევრის სამყოფი საკვების მარაგი დააგროვეს, რესპუბლიკურ სოციალისტურ შეჯიბრებაში გაიმარჯვეს, ჯილდოდ მსუბუქი ავტომანქანა „მოსკვიჩი“ და 1.000 მანეთი ფულადი პრემია დაიმსახურეს.

გულახდილად მინდა ვთქვა, რომ ეს სრულიად არ გვაამაყებს, და აი, რატომ, ხომ შეიძლებოდა უფრო მეტის მიღწევა, თუნდაც იმ რეზერვების გამოყენებით, რომლებიც წელს გამოვნახეთ?

წლევანდელ უამინდობაში, როცა სეტყვამ გაგვინადგურა მინდორი, წარმოუდგენელი იყო ფიქრი არათუ დავალების გადამეტებით შესრულებაზე, არამედ გეგმის შესრულებაზე. აღლობა დავამთავრეთ, შარშანდელზე 100 ტონით მეტი მარცვლეული მივიტანეთ სახელმწიფო ბეღელში. სასწაული არ მოგვიხდენია, მთავარი იყო საქმის სიყვარული, სიფხიზლე, კონტროლი, გავუფრთხილდით თითოეულ მარცვალს. ამით საშუალოდ ჰექტარზე ორი ცენტნერით მეტი მივიღეთ. გარდა ამისა, პურეული ცვლისებურ სიმწიფეში გაყოფითი წესით ავიღეთ. ამითაც გავადიდეთ მოსავლიანობა. ამასთან კალოს ნარჩენები ხელმეორედ გავატარეთ სახარისხებელ მანქანაში, ას ტონაზე მეტი მარცვლეული და 200 ტონამდე ნარჩენი მივიღეთ. ბალახის თესლი და სხვა მინარევი დავფქვით და პირუტყვის საკვებში შევურიეთ.

სპეციალისტებთან ერთად ვიანგარიშეთ, რომ ამ ნარჩენებით, ასევე 100 ტონა მზესუმზირას ჩენჩოს შეგროვებით, 100 ტონა ჭაჭის ნარჩენის ფქვილისა და 10 ტონა აკაციის ფოთლით 20 ტონაზე მეტ ხორცს ვაწარმოებთ. ამიტომ ვფიქრობთ, წლეულს უარი ვთქვათ სახელმწიფოსაგან 200 ტონა კომბინირებული საკვების მიღებაზე. რა თქმა უნდა, მას უფრო კარგად გამოვიყენებთ, მაგრამ ყველაფერ ამას ხომ ფული უნდა? ასეთი და სხვა დანახარჯები ზრდის პროდუქციის თვითღირებულებას.

სასოფლო-სამეურნეო საწარმო რთული მექანიზმია. ნამდვილად ასი თვალი, ასი ყური უნდა გქონდეს, რომ ყველაფერი დაინახო და გაიგო. ჩვენი მთავრობა დამატებით ფულს გვაძლევს, წაგვახალისებს ხოლმე იმისათვის, რომ არა მარტო მეტი პროდუქცია მივიღოთ, არამედ იგი მაღალხარისხოვანიც იყოს. მაგრამ როგორ ვიყენებთ ამ სიკეთეს? ზოგჯერ ვერ ვიყენებთ სათანადოდ და ამით ბევრს ვკარგავთ.

შარშან სახელმწიფოს 1.445 ტონა რძე მივყიდეთ, გეგმაზე 58 ტონით მეტი. საბაზისოზე მეტი ცხიმიანობის გამო 115 ტონა რძე დამატებით ჩაგვეთვალა. ჩაბარებული რძის 80 პროცენტი პირველი ხარისხისა იყო. ამის გამო კოლმეურნეობამ დამატებით 65.000 მანეთი მიიღო. 100.000 მანეთით მეტი ანაზღაურება მივიღეთ სანაშენე მოზარდეულის რეალიზაციით.

ახლა საქმიანად ვლაპარაკობთ რეზერვებზე. არის თუ რა, მაგალითად, რეზერვი პირუტყვის საკვების წინასწარ კარგად შემზადება, დაყუათიანება? ეს ნამდვილად დიდი რეზერვია. როცა პირუტყვს პირდაპირ ვუყრიდით უხეშ თუ სხვა სახის საკვებს, ის მას ფეხქვეშ იგებდა და გარკვეულ ნაწილს ვკარგავდით. თითოეული კილოგრამი საქონლის ხორცის შექმნაზე 13-ის ნაცვლად ახლა 9-10 საკვებ ერთეულს ვხარჯავთ, ღორის ხორცზე 8-ის ნაცვლად 6-ს.

ვამბობთ, და მართლაც ასეა, რომ მარცვლეული ჩვენი არსებობის მთავარი წყარო და მეცხოველეობის საფუძველთა საფუძველია. უნდა გავზარდოთ მისი მოსავლიანობა, და არა მარტო მოსავლიანობა, არამედ ხარისხიც, მარცვლის კვებითი ღირებულებაც. მაგალითად, გაყოფის წესით პურეულის აღების დროს მარცვალში ვინარჩუნებთ დიდად სასარგებლო ელემენტებს, ვიტამინებს. ეს კარგი და დიდი რეზერვია.

რა ვუშველოთ მოსავლიანობას? განა შირაქში 20-25 ცენტნერი ხორბლის მოყვანა გვეპატიება? წლეულს გარკვეულ ფართობზე — 60 ჰექტარზე საშუალოდ 40 ცენტნერი ხორბალი მივიღეთ. ეს მხოლოდ იმიტომ, რომ პირველი რეპროდუქციის ელიტური თესლი დავთესეთ. წელს მას მთლიანად 600 ჰექტარზე დავთესავთ და ამ გზით დამატებით 1.000 ტონა ხორბალს მივიღებთ.

ჩვენი აზრით, დადგა დრო, შირაქში მოვაწყოთ სპეციალური მეთესლეობის მეურნეობა და ელიტური თესლი მივაწოდოთ არა მარტო წითელწყაროს, არამედ სხვა რაიონის მეურნეობებსაც.

ჩვენ ვიცით, რომ რეზერვები ციდან არ ცვივა. ისინი ჩვენს ხელთ არის. ავიღოთ, მაგალითად, სარწყავი წყალი: სადაც კი წყალი გამოვიყენეთ, სიმინდის, ესპარცეტის, იონჯის თუ სხვა კულტურების ერთიორად მეტი მოსავალი მივიღეთ. შარშან ენამთაში იონჯის ნათესი ექვსჯერ გავთიბეთ, დიდძალი მწვანე მასა მივიღეთ, წველადობა ძირითადად ამით გავადიდეთ. კარგად უთქვამთ ჩვენს წინაპრებს: ცუდად დაღვრილი წყალიც ცოდვაო. ალაზანი დიდია, მის წყალს კი სათანადოდ ვერ ვიყენებთ, გადავწყვიტეთ, სარწყავ ფართობს წლეულს და მომავალში არ მოვაკლოთ წყალი. მარტო სიმინდის მარცვალს 100 ტონაზე მეტს ავიღებთ, მწვანე მასას კი ჰექტარზე არანაკლებ 200 ცენტნერისა.

წინათ დიდძალ მარცვალს ვკარგავდით კალოზე, აგრეთვე ნიადაგში ჩაფანტვით, წვიმისა და ნიაღვრის შედეგად. ამიტომ კალოები არა მარტო მოვაპირკეთეთ და მოვაასფალტეთ, არამედ მთლიანად გადავხურეთ. გულსატკენია, რომ ყველგან ეს ასე არ არის.

პურეულის მოსავალი მთლიანად, ნამდვილად უდანაკარგოდ ავიღეთ და დავაბინავეთ. თივაც, ნამჯაც, სენაჟიც იმაზე მეტი დავამზადეთ, რაც გვჭირდება. ჩვენი საზრუნავი ახლა მომავალი მოსავალია. სწრაფად ვათავისუფლებთ ნაკვეთებს ნარჩენებისაგან, ვწნეხთ ნამჯას და მეცხოველეობის ფერმებთან ვზვინავთ. განთავისუფლებულ ნაკვეთებს ვხნავთ საშემოდგომო თესვისათვის.

ზამთრის მარაგი გვაქვს, მაგრამ ეს ჯერ კიდევ ყველაფერი არ არის. როგორ გამოიყენებს მარაგს კარგი მეურნე? იმ ვალდებულებებს, რომლებზეც კოლმეურნეობის აქტივთან, სპეციალისტებთან ერთად ვიმსჯელეთ, უთუოდ შევასრულებთ. წლეულს სახელმწიფოს გეგმის გადამეტებით მივყიდით 50 ტონა ხორცს, 25 ტონა რძეს, ნახევარ მილიონზე მეტ კვერცხს.

ნ. ყოჩიაშვილი,
წითელწყაროს რაიონის სოფელ ჯაფარიძის კოლმეურნეობის თავმჯდომარე, სოციალისტური შრომის გმირი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

პარტიული ცხოვრება:
80-იანი წლების კომუნისტები

ვინც მებრძოლია, იმარჯვებს

ვეხმაურებით წერილს „კომუნისტი, დრო, მოვალეობა“

გემის სამონტაჟო ხარიხასთან ასასვლელ კიბეზე ფეხი შედგა თუ არა, წუთით შეყოვნდა, მიაყურადა, საამქროში ჩამიჩუმი არ ისმოდა. ჩანს, ჯერ არავინ მოსულაო, — გაიფიქრა და კიბეზე მკვირცხლად აირბინა. ესიამოვნა, ქარხნის პარტკომის მდივანმა ვსევოლოდ ჩერიკმა ამ დილაუთენია მარჯვენა რომ შეუქო:

— ყოჩაღ, შენმა ბრიგადამ დროს ნახევარი წლით გაუსწრო. ნაწარმის ხარისხიც ჩინებულია, აი გარჯაც ამას ჰქვია!

ამ სიტყვებმა განწყობილება აუმაღლა არჩილ ერემაშვილს, ხალისი შემატა. ასეთ დროს კაცის შრომა უფრო ლაზათიანია.

არჩილმა ჯერ ფარგალი აიღო, წინა დღით დამონტაჟებული სამირკველი შეამოწმა. მას მეორენაირად გემთმშენებლები მოტორის ფუნდამენტს ეძახიან და ყოველმხრივ განსაკუთრებული სიმტკიცით უნდა შეიკრას, შედუღდეს. რომ ნახა, ყველაფერი რიგზე იყო, პნევმატური მაკრატელი აიღო, ფუნდამენტისათვის ახალი დეტალების გამოჭრას შეუდგა. ამასობაში ბრიგადის სხვა წევრებიც მოვიდნენ, გემთსაშენ ხარიხაზე თავიანთი ადგილები დაიკავეს...

ასე იწყებენ ყოველ ახალ სამუშაო დღეს არჩილ ერემაშვილი და მისი ბრიგადის წევრები ბათუმის გემთსაშენებელი ქარხნის პირველ ამწყობ საამქროში.

აქ არჩილი ხუთიოდე წლის წინათ გადმოიყვანეს როგორც საუკეთესო სპეციალისტი. ბრიგადაც ჩააბარეს. მანამდე კი სხვა უბანზე მუშაობდა. აქაც მის ნახელავს ყველაზე პრინციპული კონტროლიორიც კი წუნს ვერ უპოვიდა.

თავიდანვე, გემთმშენებელთა კოლექტივში მოსვლის პირველი დღიდანვე, არჩილმა ერთგულა საქმეს, ფხიანობა გამოიჩინა და ყველაზე გამოცდილ ოსტატს შოთა ცინცაძეს „უმოწყალოდ გამოსტაცა“ ყველაფერი, რაც კი იცოდა გემის მშენებლობის საქმეში, არჩილმა თავისი დამრიგებლისაგან არა მარტო უზადოდ მუშაობის ჩვევები გადმოიღო, არამედ იმის რწმენაც, რომ, თუ მოინდომებ, შეძლებ დახვეწო შრომის ნებისმიერი მეთოდები, სრულყო სამარჯვები და იარაღები.

აი დასტურიც. გემის კორპუსზე სხვადასხვა სახისა და კონფიგურაციის ბევრი დეტალი მონტაჟდება. ამას წინ უძღვის ზომების მიხედვით დაყოფა, რათა ყოველი დეტალი თუ კვანძი ზუსტად ისე მიუდუღობდეს ერთმანეთს, როგორც ნახაზი მოითხოვს. ადრე ამას აკეთებდნენ სახაზავის გამოყენებით, პრიმიტიულად. და აი, ერთ დღეს არჩილს დაებადა აზრი, დაემზადებინათ შაბლონი. სანამ მის პრაქტიკულ ხორცშესხმას შეუდგებოდა, ჩანაფიქრი ბრიგადის წევრებს გააცნო. იგი რაციონალური იყო და ყველას მოეწონა, ნახელავი კარგი გამოვიდა. მის შემდეგ დანაყოფების გაკეთებისას დროსაც საკმაოდ იგებენ და მონიშვნებიც უფრო ზუსტია.

იმ დღეს, დასაწყისში რომ ვახსენეთ, არჩილ ერემაშვილი ამაღლებული გუნება-განწყობილებით დაბრუნდა შინ, მშობლიური კოლექტივიდან გამოყოლილი გულისხმიერება და სითბო ცოლ-შვილთან მიჰყვა. ახალმიღებულ ოთხოთახიან ბინაში ხალისიანად თამაშობდნენ შვილები ირმა, ნინო, ქეთევანი და მაია. მეუღლე ვახშმის თადარიგით იყო გართული. ყველას ბედნიერების ღიმილი ეფინა სახეზე. სალამოს მეგობრები, თანაბრიგადელები ეწვივნენ. მზიამ, არჩილის მეუღლემ, მშვენიერი სუფრა გაშალა, ერთხელ კიდევ აღდეგრძელეს ახალგაზრდული ოჯახის ფუძე და ჭერი.

მეორე დღეს კვლავ თავის სამუშაო უბანზე, გემთსაშენი ხარიხების ფიცარნაგზე შევხვდი არჩილს. მუშაობდა გატაცებით, კორპუსის ფუნდამენტს ამონტაჟებდა, ნახელავში სულისა და გულის სითბოს აქსოვდა. ასეთივე ხალისით ირჯებოდნენ ბრიგადის წევრები ონგერ სარჯველაძე, ალექსანდრე გოვაროვსკი, სოსო ჭყონია, ლეონიდ უვაროვი და სხვები. ბრიგადის ერთი წევრი თენგიზ გოგუა პნევმატური მაკრატლით ფურცლოვან ლითონს ჭრიდა. დავინტერესდი.

— იცით, ამ სამარჯვისათვის დაჭირხლულ ჰაერს ვინ გვაწვდის? — მითხრა თენგიზმა და ბრიგადირს შეხედა, თითქოს ნებას ითხოვდა მისგან, და როცა ხელმძღვანელმა ღიმილიანი სახე შემოაგება, გააგრძელა, — არჩილის მეუღლე მზია. იგი არა მარტო კარგი დედა და მეოჯახე ქალია, არამედ შესანიშნავი მშრომელიც, მეკომპრესორედ მუშაობს ჩვენთან, დაჭირხლულ ჰაერს აწვდის ყველა საწარმოო უბანს, სადაც კი პნევმატურ ხელსაწყოებს იყენებენ.

ის იყო არჩილმა მორიგი დეტალი მიახრახნა გემის კორპუსს, რომ ონგერ სარჯველაძემ ჰკითხა:

— არჩილ, დღეს პარტჯგუფის კრება, გახსოვს?

— აბა, როგორ, ადრე ხომ გითხრეს... კრებაზე უპარტიოებიც უნდა დარჩნენ. აჯობებს ყველამ ერთად მოვისაუბროთ ჩვენს წლევანდელ გასაკეთებელზე. მართალია, ურიგოდ არა გვაქვს საქმე, მაგრამ თადარიგიანობა, მაინც აჯობებს, — მიუგო ბრიგადირმა, საქმე არ შეუწყვეტია, ისე.

არჩილ ერემაშვილი მშვენივრად უთავსებს ერთმანეთს ბრიგადირობასა და პარტჯგუფორგობას. ჯანსაღი პარტიული ამხანაგობა აქვთ ბრიგადაში და ესეც არის ის მთავარი პირობა, დავალებების შესრულებაში დროს რომ უსწრებენ, თანაც მთელი ნახევარი წლით. ასეა, ვინც მებრძოლია, იმარჯვებს.

პარტჯგუფის კრება დიდხანს არ გაგრძელებულა. სათქმელიც მოკლედ ითქვა და გადაწყვიტეს მაღალნაყოფიერი შრომის ტემპი არ შეანელონ, საბჭოთა კავშირის შექმნის მესამოცე წლისთავისათვის დიდი გადაჭარბებით შეასრულონ გეგმა-ვალდებულებანი, დროს კიდევ უფრო გაუსწრონ. პარტჯგუფორგიც და ჯგუფის კომუნისტებიც ისე აკეთებენ, ისე იქცევიან, როგორც ეს პირველადი პარტიული ორგანიზაციების მდივნების პირველ რესპუბლიკურ კრებაზე ითქვა: ყოველი პარტიული მუშაკი და საერთოდ კომუნისტი ავტორიტეტიანი რომ იყოს, არასოდეს არ უნდა სჯერდებოდეს მიღწეულს, იყოს თვითკრიტიკული და მომთხოვნი საკუთარი თავისადმი, შემოქმედებითად უდგებოდეს საქმეს, ყოველთვის ეძებდეს ახალ გზებს, მუშაობის ახალ ფორმებს.

კრება რომ დამთავრდა, არჩილის მეუღლე შინისკენ, შვილებთან გაეშურა. მე და არჩილი კი კარგა ხანს დავრჩით ქარხანაში. მან სამუშაო ადგილი სწრაფად მიალაგ-მოალაგა, ტანსაცმელი გამოიცვალა და საამქროს უკანა კარით ზღვის მხარეს გამოვედით გარეთ. ზღვა იყო საოცრად წყნარი და ლურჯი, ნაპირის გასწვრივ ლამაზად ჩამწკრივებულიყო დიდი, ჭათქათა ხომალდები, საბუქსირო, სატვირთო და სახაზო გემები.

არჩილი გრძნობს, რომ შრომის შედეგებთან ერთად ადამიანურ ღირსებებზე მისი აზრი, შეხედულებაც მაინტერესებს და გულახდილად მანდობს თავის ნაფიქრებს:

— პარტიაში ამ ათიოდე წლის წინათ შევედი. პარტბილეთი მოწიწების დიდი გრძნობით მეკავა ხელში. არ დაგიმალავთ, ვოლავდი, სანამ მას გულისჯიბეში შევინახავდი, დიდხანს დავყურებდი, როგორც ნაღდი კაცობის დასტურს, მეამაყებოდა.

— ალბათ იმასაც გამიზიარებ, თუ როგორი დასკვნა გამოიტანე მაშინ, ეს ძალიან საინტერესოა.

— რა დასამალავია, ჯერ კიდევ ყველას როდი ძალუძს პირდაპირ, ალალი კითხვები დაუსვას საკუთარ თავს და დადებითი პასუხი გასცეს მათზე...

— დიახ, დასკვნა კი გამოვიტანე, ურიბურ კითხვებზე პასუხიც გავეცი, მაგრამ არა მგონია ეს თქვენთვის საინტერესო იყოს. ჩვენ, ადამიანები, შრომის შვილები ვართ. მე ასე მჯერა და სამუდამოდ ვიწამე კიდეც, რომ მხოლოდ გარჯით ვარ მე კაცი, ლაღი, ძლიერი. მაგალითად, ჩემს დამრიგებელს უყვარდა თქმა, ადამიანი სწორედ ის არის, რასაც აკეთებს. აქედან დასკვნა, კაცმა, მით უმეტეს კომუნისტმა, მხოლოდ კარგი უნდა თესო და აკეთო!

მუდამ მახსოვს და არც არასოდეს დამავიწყდება... მაშინ საცოლე ახალგაცნობილი მყავდა, ოჯახის შექმნაზე ვოცნებობდით, უცებ ერთ დღეს მკითხა: გარჯა თუ გიყვარსო.

მე დასაბნევი არა მქონდა რა. ჯერ ხელის გული გადავუშალე, თან დავუმატე: მოვკვდე, თუ სხვისი ნაშრომი, თუნდაც მისხალი დავიჩემო-მეთქი.

არჩილმა აქ საუბარი შეწყვიტა, ყურადღებით დამაკვირდა, რომ დაინახა მისი ნაამბობი მომწონდა, გააგრძელა:

— ამას წინათ ნაცნობთა წრეში ადამიანის უფლება-მოვალეობებზე გვქონდა კამათი. ერთმა შენიშნა: ოღონდ კაცმა ცუდი არ გააკეთოს, ბოროტება არ ჩაიდინოს და თუ არ იშრომებს, ეს არ არის მაინცდამაინც დიდი უბედურებაო. მისი ეს ნათქვამი არ მომეწონა, არ არის ეს სწორი განსჯა. თუ მე, როგორც ადამიანი, არ ვიშრომებ, არას გავაკეთებ, თუ არ შევქმნი ახალს, თუ არ გავამრავლებ მამა-პაპათა ნაღვაწს, რა კაცი ვარ მაშინ? თუმცა ცხოვრებაში ხანდახან ხდება ხოლმე, ყველაფერს ისე ვერ გააკეთებ, როგორც გინდა, როგორც გსურს და ან ამას საქმე მოითხოვს. ხან კიდევ რაღაც სხვა საზრუნავი გამოჩნდება და, თუ მოხდა ისე, რომ დღე, კვირა ერთი ველარ ვიშრომე, ველარ შევასხი ხორცი წინადღის ჩანაფიქრს, ასე მგონია, დამნაშავე ვარ, სინდისი მქეჯნის და ცუდად ვხდები, ხოლო თუ მიზანს, თუნდაც პატარას შევისრულებ და საქმეს წინ წავიწევ, სიამოვნებით მევსება გული...

მერე ქარხნის ალაყაფიდანაც ერთად გამოვედით. ზღვის თავზე თოლიები დაქროდნენ. რკინიგზის სადგურისაკენ ნელა მივუყვებოდით სანაპიროს და ვგრძნობდი, რომ ჩემ გვერდით მტკიცედ, მხრებგაშლილად მოაბიჯებდა შრომითი წრთობისა და მაღალი სულიერი კულტურის ადამიანი, სპეტაკი მრწამსის კომუნისტი.

შ. გულუა.

პროფესიაში შეადლო

ნათელა ვიბლიანი თბილისის კამვოლ-მაუდის კომბინატ „საბჭოთა საქართველოს“ მაუდსართავი წარმოების მრთველია. საწარმოს პარტიულ კომიტეტში მითხრეს, რომ იგი ყველასაგან გამორჩეულია თავისი შრომითი საქმიანობით, კეთილსინდისიერებით, თავმდაბლობითა და ალალმართლობით, რის გამოც დიდი ავტორიტეტი მოიპოვა მთელ კოლექტივში. მერე ისიც დასძინეს: სასაუბროდ აქ არ ამოვა და სართავ მანქანას არ მიატოვებსო. ეს მეც ხელს მაძლევდა. ამიტომ პარტიულ კომიტეტში მხოლოდ ზოგიერთი ფაქტი ჩავიწერე და მერე ნათელა თავის სამუშაო ადგილზე ვინახულე. სასიამოვნო გარეგნობის ქალიშვილის სანდომიან სახეს კეთილი ღიმილი ამშვენებდა...

იგი 150 თითისტარს ემსახურება, ფთილას ისე სწრაფად შეცვლის და ჩაახვევს, რომ თვალის გაყოლებაც გაგიჭირდება. მისი წარმატების ერთი საიდუმლოც სწორედ ეს გახლავთ, რადგან მრთველისათვის ხელის სისწრაფე უმთავრესია. თითისტარი არ უნდა მოცდეს, გაწყვეტილი ფთილა რაც შეიძლება მალე უნდა აღდგეს. ყოველივე ამას მრთველი შვიდი წამის ნაცვლად ორ წამს ანდომებს. ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ნათელა ერთ-ერთ ყველაზე ძნელად დასამუშავებელ ნართზე მუშაობს და ამის მიუხედავად მაინც მეტად მნიშვნელოვან შედეგებს აღწევს. ყოველთვიურ სახელმწიფო დავალებას 140 პროცენტით ასრულებს, ეს კი იმას ნიშნავს, რომ ნოვატორი ცვლაში 270 კილოგრამის ნაცვლად 500 კილოგრამ ნართს ამზადებს.

საქმისათვის თავდადება დედამ შთააგონა, მეგობრის გატანა და მისი ერთგულება მშობლიური მხარის მაღალმა მთებმა, სულის სისპეტაკეც სვანეთიდან გამოჰყვა. მესტიის რაიონის სოფელ ჭუბერში დაამთავრა საშუალო სკოლა და გადაწყვიტა ქალისათვის შესაფერისი ხელსაქმე ესწავლა. შორი გზა გამოიარა, თბილისში ჩამოვიდა და 24-ე პროფსასწავლებელი დაამთავრა, 1969 წელს კი მუშაობას კამვოლ-მაუდის კომბინატში შეუდგა.

პირველად თითქოს გაუჭირდა, მაგრამ მუყაითობამ, ბავშვობიდანვე რომ მოსდგამდა, თავისი გაიტანა, გაიმარჯვა. ქალიშვილი ისე დაეუფლა მრთველის პროფესიას, რომ დღეს რესპუბლიკაში, მართლაც, ბადალი არა ჰყავს. ცამეტი წელია ყოველდღიურად ჩაჰკირკიტებს თავის მანქანას, თითისტარებთან ციბრუტივით ტრიალებს და უსაქმოდ ერთ წუთსაც ვერ დაინახავთ. მისი შრომა შეუმჩნეველი როდი დარჩა — შრომის წითელი დროშის ორდენით დააჯილდოვეს, რამდენჯერმე იყო არჩეული საქალაქო და რაიონული საბჭოს დეპუტატად.

ნათელა ვიბლიანმა საუკეთესო დამრიგებლის საპატიო სახელი დაიმსახურა. ვინ იცის, რამდენ ახალგაზრდას შეასწავლა პროფესია, ჩაუნერგა საქმის სიყვარული, სვანეთიდანაც ბევრი გოგონა ჩამოიყვანა და გზაზე დააყენა. არ მოსწონს, როცა ზოგიერთი საქმეს გულს არ უდებს და საწარმოდან მიდის. დიდ ხელფასსა და დიდებას მაშინვე ითხოვს. ის კი ავიწყდებათ, რომ ამის მოპოვებას დრო და გარჯა სჭირდება.

ნათელას ყოველთვიური ხელფასი საშუალოდ 400-500 მანეთს შეადგენს და ამას იგი თავდადებული შრომით აღწევს. მან კარგად იცის ყოველი წუთის ფასი და ცდილობს დროის მაქსიმალურად გამოყენებას.

ნ. ვიბლიანის დევიზია: „ხუთწლედი — ოთხ წელიწადში“. ამ შედეგს მან შეიძლება უფრო ადრეც მიაღწიოს, რადგან მიმდინარე ხუთწლედის ორი წლის დავალება ჯერ კიდევ აპრილში შეასრულა. მის მიერ დამზადებული ნართის 99 პროცენტი პირველი ხარისხისაა, ეს არც არის გასაკვირი, რადგან ნ. ვიბლიანი პროფესიაში საუკეთესო ყოფილა.

შარშან სსრ კავშირის მსუბუქი მრეწველობის მასშტაბით ქ. კრასნოდარში გაიმართა სპეციალური კონკურსი „პროფესიაში საუკეთესოს“ სახელის მოსაპოვებლად. ქართველმა ქალიშვილმა ნ. ვიბლიანმა აქ მესამე ადგილი მოიპოვა, ხოლო საქართველოში გამართულ ასეთივე კონკურსში პირველი იყო.

ნ. ვიბლიანი — საუკეთესო მრთველი, გულისხმიერი და მოსიყვარულეა მეგობრებისა და საერთოდ ყველას მიმართ. მის გვერდით მომუშავე მრთველებს ელისო ქავთარაძესა და მაყვალა ქისტაურს უნათელოდ ერთი დღეც კი ვერ წარმოუდგენიათ. იგი მათი ჭირისა და ლხინის პირველი გამზიარებელია. ისიც მითხრეს, წიგნები უყვარსო. მხატვრულ ლიტერატურასთან ერთად ტექნიკურსაც ბევრს კითხულობს და ესეც ხელს უწყობსო მის დაოსტატებას.

საწარმო, რომელშიც ნ. ვიბლიანი შრომობს, სისტემატურად აუმჯობესებს ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებელს. კამვოლ-მაუდის კომბინატის კოლექტივმა მოწინავის სახელი დაიმკვიდრა. პირველი კვარტალის მონაცემების მიხედვით საქართველოს მსუბუქი მრეწველობის დარგის საწარმოთა შორის მას პირველი ადგილი მიენიჭა. საწარმოს აღმავლობა გრძელდება.

კომბინატის კოლექტივმა ყველა ძირითადი ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლების მიხედვით გადაჭარბებით შეასრულა მიმდინარე წლის ექვსი თვის სახელმწიფო გეგმა. საყურადღებოა ის ფაქტიც, რომ წარმოების ზრდის ტემპმა გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით ნართის დამზადებაში 104 პროცენტი, შალის ქსოვილების წარმოებაში — 109,2, ხოლო მთლიანი პროდუქციის გამოშვებაში 113,8 პროცენტი შეადგინა. ასევე კარგი შედეგები აქვს მოპოვებული ძვირადღირებული ნედლეულის დაზოგვის საქმეშიც. განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს ის, რომ აქ მიაღწიეს საქსოვი დაზგების მაღალნაყოფიერებას — 9850 მისაქსელი საათში, რაც საკავშირო დონეს 9 პუნქტით აღემატება.

ნათელა ვიბლიანი დღეს მკვიდრია იმ საწარმოსი, რომელიც აღმავალი გზით მიდის, სადაც ფართოდ არის გაშლილი სოციალისტური შეჯიბრება სსრ კავშირის შექმნის მე-60 წლისთავის ღირსეული შეხვედრისათვის.

სვანი ქალიშვილი თავის კოლექტივთან ერთად საუკეთესო შედეგებით ეგებება სახელოვან იუბილეს.

ლ. ქინქლაძე,
„კომუნისტის“ კორ.

სურათზე: ნათელა ვიბლიანი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება

ამხ. მ. კ. მაღრაძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

რესპუბლიკის პარტიულ, საბჭოთა და სამეურნეო ორგანოებში ხანგრძლივი ნაყოფიერი მუშაობისათვის ამხ. მიხეილ კონდრატეს ძე მაღრაძე დაჯილდოვდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე
პ. გილაშვილი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი
თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი. 1982 წლის 27 ივლისი.

მიხეილ კონდრატეს ძე მაღრაძისათვის მინიჭებულ ჯილდოებს შორის არის საბრძოლო ორდენები: ისინი მან ჯერ კიდევ სულ ახალგაზრდამ მიიღო, როცა დიდი სამამულო ომის ფრონტებზე წავიდა და მისი ცეცხლოვანი გზები გამოიარა პირველი დღიდან ბოლო დღემდე.

მეტად ადრე ეზიარა იგი შრომას და თითქმის შეუსვენებლივ მუშაობდა. მხოლოდ ომის შემდეგ შეისვენა ცოტა, როცა, როგორც ომის ინვალიდს, პენსია დაუნიშნეს. მაგრამ მაინც ძალიან მალე დაბრუნდა მწყობრში. ახლა კი, როცა ძველი ჭრილობები და ავადმყოფობა ძველებური ენერგიით მუშაობის საშუალებას აღარ აძლევდა, მან თავად ითხოვა თანამდებობიდან განთავისუფლება. ჯილდო, რომლის შესახებაც დღეს ვიუწყებით, აღნიშნავს მ. კ. მაღრაძის მრავალი წლის შრომას საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის მინისტრის პოსტზე. მანამდე კი იგი მუშაობდა პარტიის თბილისის ლენინის რაიკომის მდივნად, პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის მდივნად, თბილისის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარედ და სხვა პასუხსაგებ თანამდებობებზე.

მიიღო რა გადაწყვეტილება წასულიყო პენსიაზე, მიხეილ მაღრაძემ შესაბამისი თხოვნით მიმართა სადირექტივო ორგანოებს. იგი დიდი ხნის მანძილზე ამზადებდა თავის შემცვლელს და თვითონვე მისცა მას რეკომენდაცია. ამითაც ჩანს ხასიათი, ცხოვრებისეული პრინციპები, სული კომუნისტი ხელმძღვანელისა, რომლის მაღალი ზნეობრივი ღირსებები განუყოფელია მისი პროფესიული კომპეტენტურობისაგან. (საქინფორმი).

მიფრინავს „კოსმოს-1396“

1982 წლის 27 ივლისს საბჭოთა კავშირში გაუშვეს დედამიწის მორიგი ხელოვნური თანამგზავრი „კოსმოს-1396“.

თანამგზავრზე დადგმული სამეცნიერო აპარატურა განაგრძობს კოსმოსური სივრცის კვლევას.

აპარატურა ნორმალურად მუშაობს. საკოორდინაციო-გამომთვლელი ცენტრი ამუშავებს მიღებულ ინფორმაციას. (საქტაგი).

კოოპერირება და მისი სიკეთე

ყურადღება! საქართველოს ტელევიზია გვაცნობს საინტერესო ექსპერიმენტს

ჩვენს მკითხველებს მივმართავთ: ყურადღება, საქართველოს ტელევიზია გვაცნობს მეტად საინტერესო და სასარგებლო ექსპერიმენტს! ეს არის სოფლად საზოგადოებრივ მეურნეობასა და მოსახლეობას შორის კოოპერირების ახალი ფორმა, რომელიც ჯერ აბაშის, შემდეგ მახარაძის, ხობისა და სხვა რაიონებში დაინერგა.

ტელევიზიამ ეს გადაცემა ამ დღეებში უჩვენა, საათსა და ოც წუთში ტელემაყურებლებმა ნახეს და მოისმინეს, თუ რა სიკეთის მოტანა შეუძლია საზოგადოებრივ მეურნეობათა კოოპერირებას, რომელშიც სოფლის მცხოვრებ ყველა პროფესიის მშრომელს შეუძლია მიიღოს მონაწილეობა. მარტივად რომ ვთქვათ, კოოპერირება სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების სიუხვის წყაროა, საზოგადოებრივი მეურნეობისა და საკარმიდამო მეურნეობის მშრომელთა გარჯის ურთიერთშერწყმაა. კონკრეტულად კი სოფლის მშრომელი კოლმეურნეობასთან ან საბჭოთა მეურნეობასთან ხელშეკრულების საფუძველზე ზრდის მსხვილფეხა რქიან პირუტყვს, ცხვარსა თუ ღორს, ფრინველს (მას შეუძლია პირუტყვი და საკვები მიიღოს მეურნეობიდან ან თავისი პირუტყვი ჩააბას კოოპერირებაში) და ამ გზით ადიდებს მეცხოველეობის პროდუქტების წარმოებას. სანაცვლოდ დიდძალ ანაზღაურებას იღებს, რომელიც საოჯახო ბიუჯეტს ამდიდრებს, ოჯახს ეკონომიკურად აძლიერებს. რაც მთავარია, კოოპერირებაში ებმებიან ოჯახის ხელმძღვანელები, პენსიონერები, მცირეწლოვანი შვილების პატრონი ქალები, მოსწავლე ახალგაზრდობა კი შრომას ეჩვევა.

ეკრანზე ვკითხულობთ: „სასურსათო პროგრამა მოქმედებს!“ ექსპერიმენტი — სისტემის ანუ „სტუდია-დიალოგის“ პირველი გადაცემა ეძღვნება მეტად საინტერესო საკითხს: „კოოპერირება სიუხვის წყაროა!“.

ტელემაყურებელი ეკრანიდან ჯერ ეცნობა, თუ რა შედეგები მოჰყვა აბაშის, მახარაძის, ხობის რაიონებში ექსპერიმენტის სახით დანერგილ კოოპერირებას. ნაჩვენებია პირუტყვის საოჯახო ფერმების სიკეთე. ვხედავთ, როგორ შრომობენ კოოპერირებაში ჩაბმული კოლმეურნეები, მასწავლებლები, სოფლის მეურნეობის სპეციალისტები, პენსიონერები, მოსწავლეები.

ამის შემდეგ ეკრანზე ჩნდება წარწერა: „სტუდია-დიალოგი“. ტელესტუდიაში მაგიდებს უსხედან დიალოგის მონაწილენი — სოფლის, მეურნეობის ხელმძღვანელი მუშაკები, მეცნიერები... დიალოგს უძღვება საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის საზოგადოებრივი აზრის შემსწავლელი ცენტრის ლაბორატორიის გამგე, ტელევიზიის კომენტატორი დ. იოსელიანი, მოკლე შესავლის შემდეგ იგი სიტყვას აძლევს საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის მინისტრს, სოციალისტური შრომის გმირს გ. მგელაძეს. იგი ამომწურავად, კონკრეტული მაგალითებით უპასუხებს კითხვას: რას ნიშნავს კოოპერირება და რა სარგებლობა მოაქვს მას საზოგადოებრივი მეურნეობისათვის, პირადად სოფლის მშრომელისათვის. მან კოოპერირების არაერთი მაგალითი მოიყვანა აბაშის რაიონიდან, როცა იგი იქ პარტიის რაიონული კომიტეტის პირველი მდივანი იყო და ეს ექსპერიმენტი მისი უშუალო ხელმძღვანელობით განხორციელდა.

დიალოგში ჩაება თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კათედრის გამგე, პროფესორი ო. ხალარეიშვილი. მან ტელემაყურებლებს უამბო, თუ რა ეკონომიკური სარგებლიანობა მოჰქვა ექსპერიმენტს.

საქართველოს ტელევიზიის მუშაკთა სასახელოდ უნდა ითქვას, რომ დიალოგი ცხოვრებასთან კარგად დააკავშირა. ის, რაზეც დიალოგის მონაწილენი მსჯელობენ, კამათობენ, შემდეგ სოფლად მშრომელების საუბრიდან უფრო კონკრეტული და გასაგები ხდება. „ტელეინფორმაციის“ საშუალებით ვეცნობით აბაშის რაიონის პენსიონერის ე. კაჭარავას და კოლმეურნე მ. პაპავას საქმიანობას, ვისმენთ მათს აზრს საინტერესო ექსპერიმენტის შესახებ.

ტელეკამერას ისევ „სტუდია-დიალოგის“ მონაწილეებთან გადავყავართ. ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი კ. ჩარკვიანი მეტად საინტერესოდ საუბრობს საზოგადოებრივი მეურნეობისა და საკარმიდამო მეურნეობის არსის, კოოპერირების დიდი სარგებლიანობის შესახებ. ამასთან იგი აღნიშნავს, რომ კოოპერირების სხვადასხვა ფორმის გავრცელების დროს სიფრთხილით მოვეკიდოთ საზოგადოებრივ შრომაში ჩაბმულ მშრომელთა საქმიანობას. კოოპერირების ფორმებისა და მეთოდების დახვეწაზე საინტერესოდ ილაპარაკა პროფესორმა ა. გუნიამ.

შემდეგ ეკრანზე ისევ ჩნდება წარწერა: „ტელეინფორმაცია“. ტელეინფორმაცია ამჯერად გვაცნობს, თუ რა ავანგარდული როლი აკისრიათ სოფლად კომუნისტებს რეზერვების გამოძებნისა და ამოქმედების საქმეში. აქ ვისმენთ აბაშის რაიონის ტყვირის კოლმეურნეობის პარტორგანიზაციის მდივნის გ. თოფურიას და მახარაძის რაიონის ბახვის კოლმეურნეობის თავმჯდომარის თ. გობრონიძის აზრს.

კვლავ „სტუდია-დიალოგი“: მეტად საინტერესო იყო ეკონომიკის მეცნიერებათა კანდიდატის ი. ქვაჩახიას და პროფესორ ვ. ჭანუყვაძის საუბრები. მათი გამოსვლების სისწორეს ადასტურებს ტელეინფორმაციის მონაწილე, აბაშის მეღორეობის კომპლექსის დირექტორი ი. ვასაძე. იგი თავისი დიალოგის მონაწილეებს სოფლად, ადგილზე ესაუბრება იმაზე, რაც ბოლო ორ წელიწადში გაკეთდა. საინტერესო იყო მეცნიერი ეკონომისტის რ. ანდღულაძის მოსაზრებანი იმის შესახებ, თუ რა სარგებლობას მოუტანს სახელმწიფოს კოოპერირება, როგორ უნდა შევუწყოთ ხელი სოფლის მშრომელებს, რომ მათ მეტი და მაღალხარისხოვანი მეცხოველეობის პროდუქტები აწარმოონ.

კვლავ ტელეინფორმაცია: დრამატურგი ა. ჩხაიძე ესაუბრება აბაშელ ელექტროშემდუღებელს შალვა გოგინეიშვილს, მან კოოპერირების გზით დამატებით 2.000 მანეთის პროდუქტები მიჰყიდა სახელმწიფოს, საკუთარი ოჯახი ეკონომიკურად გააძლიერა და იმას ოცნებობდა, რომ მისი საოჯახო ფერმაც ენახა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატს, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივანს ე. შევარდნაძეს. და როგორ გამიხარდა, — ამბობს იგი, რომ ეს დიდი სურვილი შემისრულდა, იგი ჩემს კარ-მიდამოს ეწვია, ნაშრომი მომიწონა. ამან უფრო დიდი საქმეებისათვის აღმაფრთოვანაო.

აბაშელმა კოლმეურნემ ა. ფირცხალავამ საყვედური გამოთქვა, რომ კოოპერირების აბაშური მეთოდი აღმოსავლეთ საქართველოს მთელ რიგ სოფლებში ნელა ვრცელდებაო.

შემდეგ ისევ „სტუდია-დიალოგის“ მონაწილე, საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის კათედრის გამგე პ. გიორგაძე ლაპარაკობს კოოპერირების სიკეთეზე, ამ სიახლით შეგვიძლია მთის მოსახლეობის მიგრაცია შევაფერხოთო, ამბობს იგი.

საქართველოს ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის სახელმწიფო კომიტეტმა ამ გადაცემით კარგი საქმე გააკეთა, სატელევიზიო გადაცემა „ექსპერიმენტი-სისტემა“ წვლილია რესპუბლიკაში სასურსათო პროგრამის განხორციელების საქმეში. იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ ამ გადაცემას მშრომელთა თხოვნით კვლავ ნახავს მაყურებელი და ბევრი დაინტერესდება სიახლის დანერგვით.

სსრ კავშირის შექმნის მე-60 წლისთავის შესახვედრად

ინტერნაციონალიზმი მოქმედებს

საბჭოთა სახელმწიფოს მე-60 წლისთავის აღსანიშნავად გაშლილი სოციალისტური შეჯიბრება ქვეყნის მშრომელთა, ყველა ერისა და ეროვნების ინტერნაციონალური ერთობის განმტკიცების მძლავრი ფაქტორია. როგორც აღინიშნა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის IX პლენუმზე, ახლა 150-ზე მეტი ჩვენი ქალაქი და რაიონი, საწარმო და ორგანიზაცია, კოლმეურნეობა და საბჭოთა მეურნეობა ეჯიბრება სხვა მოკავშირე რესპუბლიკათა შრომითს კოლექტივებს, ქალაქებსა და რაიონებს.

დღეს საქინფორმის კორესპონდენტები გვიამბობენ ყაზახეთისა და უკრაინის დაძმობილებული რაიონების მშრომელებთან საქართველოს ორი რაიონის მშრომელთა მეგობრობასა და შეჯიბრებაზე.

დიდება ხელს, პურის სურნელი რომ ასდის!

ყამირის მხვნელ-მთესველთა ალოობის გაკვეთილები დაიწყო დასავლეთ საქართველოს ტრადიციული მევენახეობის რაიონის — თერჯოლის რაიონის მექანიზატორთა სკოლაში. სკოლა შეიქმნა კომუნისტ ჯ. მაჭარაშვილის — ყაზახეთის ცელინოგრადის ოლქის ატბასარის რაიონის შარშანდელი ალოობის გამარჯვებულის ინიციატივით.

ამ ფაქტს განმარტავენ პარტიის ატბასარის რაიკომის პირველი მდივანი ყასიმ ტაუკენოვი და პარტიის თერჯოლის რაიკომის პირველი მდივანი ანზორ ბურჯანაძე. მათი დიალოგი გვაცნობს ორი რაიონის მშრომელთა თანამშრომლობის შედეგებს.

ა. ბურჯანაძე: მახსოვს, ატბასარის მისადგომებთან გაკეთებული წარწერა: „დიდება ხელს, პურის სურნელი რომ ასდის!“ ყველასათვის, ვისი ახალგაზრდობაც, ისევე როგორც ჩემი, ყამირთან არის დაკავშირებული, ეს სიტყვები განსაკუთრებული შინაარსით არის აღსავსე. ეს შინაარსი ისიც არის, რომ დღეს პურის სურნელი ასდის თერჯოლელ მევენახეთა ხელს. დაახლოებით ათას ხუთასი ტონა ხორბალი მოიწია და ჩააბარა სახელმწიფოს მაჭარაშვილმა, რომელმაც ალოობის 36 დღე გაატარა ატბასარის პურის ყანაში. მხვნელ-მთესველი ხარ თუ მევენახე, ხალხი მიწათმოქმედის საამაყო სახელს გიწოდებს. ჩვენ ხომ ერთი საზრუნავი გვაქვს — მიწა.

ყ. ტაუკენოვი: მ. გორკის სახელობის საბჭოთა მეურნეობაში მეგობრობის მინდორს უწოდებენ მიწებს, სადაც შარშან მაჭარაშვილთან ერთად პურს იღებდნენ ი. ბერიანიძე, მ. ვარდოსანიძე, ს. კვატანიძე, გ. ხოხაშვილი და თერჯოლის რაიონის სხვა მექანიზატორები. ისინი ეჯიბრებოდნენ ჩვენს მემკვიდრეობითს ყამირელებს, ვინიცას ოლქის უკრაინელ მხვნელ-მთესველებს ათასი ტონა მარცვლეულის გალეწვისათვის. ბევრი მათგანი შინ „ათასელის“ საპატიო წოდებით დაბრუნდა, ხოლო პარტიის თერჯოლის რაიკომის გარდამავალი წითელი დროშა — „ატბასარის რაიონის საუკეთესო მეურნეობას“ — ამ საბჭოთა მეურნეობის მიწათმოქმედებმა მოიპოვეს. მათ ბეღელში დააბინავეს 3,3 მილიონი ფუთი პური.

ა. ბურჯანაძე: ვერ შევადარებ უკიდეგანო ყამირის მასშტაბს ჩვენი რაიონის 12 ათას ჰექტარ სავარგულებს. მაგრამ ჩვენც შეგვიძლია ვიამაყოთ სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოების ზრდის ტემპით. ორი ხუთწლედის მანძილზე რაიონში თითქმის ორჯერ გაიზარდა ყურძნის დამზადება, ორჯერ და მეტად — ჩაის ფოთლის, ხოლო სამჯერ — ბოსტნეულის დამზადება. იზრდება მეცხოველეობის პროდუქტების წარმოება. და ამაში ძალიან დაგვეხმარა ასობით ტონა საფურაჟე ხორბალი და თივა, რომელსაც ყოველწლიურად ატბასარიდან გვიგზავნიან. რაიონის წვლილი სასურსათო პროგრამის რეალიზაციაში უკვე წელს შეადგენს 28 ათას ტონა ყურძენს, 1300 ტონა ხარისხოვან ჩაის ფოთოლს, 3 ათას ტონა ხილს, 7,5 ათას ტონა ბოსტნეულს.

ყ. ტაუკენოვი: ჩვენ ვიცით თერჯოლელი მეგობრების მიერ მოყვანილი ხილბოსტნეულის გემო, რომელსაც ატბასარში გვიგზავნიან. საბჭოთა მეურნეობა „შუისკის“ დირექტორი გ. კემი და კოლმეურნეობა „როდინას“ თავმჯდომარე ს. პეტრენკო „იმუქრებიან“ ასეთივე ხილბოსტნეულს ყაზახეთის მიწაზეც მოვიყვანთო. აქ აშენდა სათბურები, გაშენდა ბაღ-ბოსტნები, რამაც მეურნეობებს დიდად დაეხმარა ქართველი კოლეგების რჩევა-დარიგება. თერჯოლის ყურძნის გემოც იციან ჩვენმა მხვნელ-მთესველებმა, რომლებიც ყოველწლიურად ისვენებენ საკოლმეურნეობათაშორისო ჯანმრთელობის კერაში სიმონეთში, ჩვენმა შვილებმაც, რომლებიც ყოველ წელს ისვენებენ პიონერთა ქალაქ „საპოვნელაში“. სხვათა შორის ამ ქალაქში ჩასვლის უფლებისათვის ერთმანეთს ეჯიბრებიან რაიონის სკოლების ინტერნაციონალური მეგობრობის კლუბების წევრები.

ა. ბურჯანაძე: ინტერნაციონალიზმის სკოლად იქცა შეჯიბრება ჩვენი ცხოვრების ყველა სფეროში. თერჯოლაში უკვე ტრადიციულად ეწყობა ტურისტული შეკრება-შეჯიბრება სოციალისტური შრომის გმირის ვასილ მაკარინის პრიზზე, რომელიც ხელმძღვანელობდა ატბასარის კომუნისტებს, ყამირს რომ ტეხდნენ.

ჩვენს რაიონებს შვიდი ათასი კილომეტრი, ორი საათობრივი სარტყელი, კავკასიონის მთები და ყაზახეთის ველები ყოფს, მაგრამ ეს ხელს არ გვიშლის თანამშრომლობაში. ჩვენ უკვე არაერთხელ შევხვედრივართ ერთმანეთს როგორც საქართველოს, ისე ყაზახეთის მიწაზე. შეხვედრები, საუბრები იმათთან, ვინც ტეხდა ყამირს — რახიმ კაისარინთან, მიხეილ დოვჟიკთან, ივანე კოსმიჩთან, კაიშუბაი მუკუშევთან უბრალოდ როდი დაგვახსომდა; მათი გმირობა, რომელსაც ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევმა თავის წიგნში „ყამირი“ „ყოველდღიური გმირობა“ უწოდა, სამაგალითოა ცხოვრებასა და შრომაში.

ყ. ტაუკენოვი: ყველა ჩვენგანისათვის უკვდავია პირველყამირელთა გმირობა. შემთხვევითი როდია, რომ კომკავშირულმა საგზურმა — ყამირის ათვისების პირველი წლების შთამაგონებელმა დოკუმენტმა — საპატიო ადგილი დაიკავა ატბასარის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში. სწორედ ასეთი საგზურებით დაიწყო მხვნელ-მთესველთა ისეთი მტკიცე ყამირული დინასტიები, როგორიც ივანე კოსმიჩის დინასტიაა. ახლა მასთან ერთად პური მოჰყავთ მის ცხრა ვაჟს. აღსანიშნავია, რომ ჩვენს რაიონში არის ყამირელთა 92 ოჯახური დინასტია. თავისებურ დინასტიად — არა ოჯახურ, არამედ რაიონულ დინასტიად მიგვაჩნია თერჯოლელი მექანიზატორებიც. ყოველწლიურად ჩამოდიან ჩვენთან ადამიანები რაიონის სხვადასხვა მეურნეობიდან. მაგრამ ყველას თერჯოლური წრთობა ეტყობა. როცა მათ მუშაობას ხედავენ, ჩვენთან, ატბასარში ამბობენ: „დიდება ხელს, ყურძნის სურნელი რომ ასდისო“.

ი. სუდაკოვა,
ე. გასპაროვი,
(საქინფორმის სპეც. კორ.).
ატბასარი — თერჯოლა.

ხელვაჩაური — ბელოზერსკი: შეჯიბრება ძალას იკრებს

ბელოზერსკის რაიონს, რომელიც ხელვაჩაურის რაიონს ეჯიბრება, ეწვია ხელვაჩაურელ მშრომელთა დელეგაცია. აჭარიდან ჩასულმა სტუმრებმა თავიანთ უკრაინელ მეგობრებს ჩაუტანეს პარტიის ხელვაჩაურის რაიკომის, რაიაღმასკომის, სოფლის მეურნეობის მუშაკთა პროფკავშირის რაიკომისა და კომკავშირის რაიკომის ვიმპელები, რომლებიც გადასცეს ბელოზერსკის რაიონის — დაძმობილებული რაიონის საუკეთესო კოლექტივებს.

სამი ათწლეული გავიდა მას შემდეგ, რაც ამ ორი რაიონის მშრომელები დამეგობრდნენ. ქართველ მეჩაიეებსა და მეციტრუსეებს, უკრაინელ მხვნელ-მთესველებსა და მეცხოველეებს სამუდამოდ დაახსომდათ ბელოზერსკელთა დელეგაციის ის პირველი ჩამოსვლა ხელვაჩაურის (მაშინ ჯერ კიდევ ბათუმის) რაიონში, როცა მათ სოციალისტური შეჯიბრების ხელშეკრულება დადეს. ეს იყო გულთბილი, გულითადი შეხვედრები, საინტერესო, მდიდარი შთაბეჭდილებებით აღსავსე დღეები.

— წლითიწლობით მტკიცდება ხელვაჩაურელთა და ბელოზერსკელთა მეგობრობა და ძმობა, — თქვა საქინფორმის კორესპონდენტთან საუბარში პარტიის ხელვაჩაურის რაიკომის პირველმა მდივანმა ს. ინაიშვილმა. ტრადიციისამებრ ყოველწლიურად სტუმრად ვართ ერთმანეთთან, ვიზიარებთ გამოცდილებას, ვმონაწილეობთ მოსავლის დღესასწაულებში, ვაჯამებთ შეჯიბრების შედეგებს. როგორც ჩვენი რაიონის მშრომელებს, ისე ბელოზერსკელებს არაერთხელ გაუმარჯვიათ შრომითს მეტოქეობაში, მოუპოვებიათ საკავშირო და რესპუბლიკური ჯილდოები.

ორი რაიონის მეგობრობისა და შეჯიბრების მნიშვნელოვანი ნიშანსვეტი გახდა მზადება სსრ კავშირის შექმნის მე-60 წლისთავისათვის. ვეგებებით რა ამ ღირსშესანიშნავ თარიღს, ბელოზერსკელ მეგობრებთან ერთად ვცდილობთ უკეთესად ვუხელმძღვანელოთ შეჯიბრებას, მაქსიმალურად გამოვიყენოთ სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოების ზრდის რეზერვები, ღირსეული წვლილი შევიტანოთ სასურსათო პროგრამის განხორციელებაში.

ახლა ხელვაჩაურის რაიონის მეჩაიეობის მეურნეობები სწრაფი ტემპით კრეფენ მეორე ვეგეტაციის ჩაის ფოთოლს. განსაკუთრებით წარმატებით შრომობენ სარფის, ახალშენის, ჩაისუბნის, მახოს მეჩაიეები, რომლებიც ფაბრიკებს გადასამუშავებლად აბარებენ მაღალი ხარისხის ნედლეულს, აქტიურად იბრძვიან ქართული ჩაის პრესტიჟის აღდგენისათვის.

სსრ კავშირის მე-60 წლისთავისა და ორი მოძმე საბჭოთა რესპუბლიკის რაიონების მეგობრობის 30-ე წლისთავის აღსანიშნავად გაშლილი სოციალისტური შეჯიბრება სულ უფრო ძლიერდება.

დღეგრძელობა-აქტიური, ცხოვრება-სრულფასოვანი

მოსახლეობის დაბერება, მისი შედეგების ზოგიერთი სოციალური, სამედიცინო და ეკონომიკური პრობლემა

როგორც ჩვენმა მკითხველებმა იციან, 1982 მოხუცთა წლად არის გამოცხადებული გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მიერ. რამდენიმე დღეა ვენაში მუშაობს გენერალური ასამბლეა, რომელიც განიხილავს უფროსი ასაკის მოსახლეობის უფლებების დაცვის, ეკონომიკური კეთილდღეობის, სამედიცინო და სოციალური მომსახურების გაუმჯობესების აქტუალურ საკითხებს.

თანამედროვე ეპოქის ერთ-ერთი დამახასიათებელი მოვლენა მოსახლეობის დაბერებაა. მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში სულ უფრო მეტი ადამიანი აღწევს ხანში შესულ და მოხუცებულობის ასაკს. სადღეისოდ ეკონომიკურად მაღალგანვითარებულ ქვეყნებში 60 წლის და უფროსი ასაკის ადამიანთა რაოდენობამ მოსახლეობის 12-22 პროცენტი შეადგინა.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მონაცემებით, მომავალ ოც წელიწადში დედამიწის მოსახლეობა გაიზრდება 80 პროცენტით, 60 წლისა და მეტი ასაკის პირთა რიცხვი კი ამავე პერიოდში მოიმატებს 100 პროცენტით და მეტად და შეადგენს 585 მილიონს, 2025 წელს იგი გადააჭარბებს ერთ მილიარდს.

მოსახლეობის დაბერების ტენდენცია მკაფიოდ გამოიხატა საბჭოთა კავშირშიც. ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს მონაცემებით, საპენსიო ასაკის მოსახლეობის ხვედრითი წილი 1939 წელს შეადგენდა 8,8 პროცენტს, 1959 წელს — 12,2 პროცენტს, ხოლო 1979 წელს 15,5 პროცენტს მიაღწია. წინასწარი გამოანგარიშებით, ეს პროცესი მომავალშიც გაგრძელდება და სსრ კავშირში 2000 წლისათვის 60 წლის და მეტის ასაკის პირთა რაოდენობა 80 მილიონს გადააჭარბებს.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის VI პლენუმზე საანგარიშო მოხსენებაში სპეციალურად აღინიშნა, რომ საჭიროა მიზანმიმართულად, მეცნიერულ საფუძვლებზე დაყრდნობით მოვახდინოთ ზემოქმედება დემოგრაფიული სიტუაციით აღმოცენებულ პროცესებზე.

მოსახლეობის დაბერების გლობალურმა პროცესმა რთული ეკონომიკური სიტუაციები წამოჭრა ხანში შესული და მოხუცებულთა სოციალური უზრუნველყოფის საქმეში. ზოგიერთ კაპიტალისტურ ქვეყანაში მიაჩნიათ, რომ მოხუცების ეკონომიკური უზრუნველყოფა, ძირითადად, ხორციელდება აქტიური მოსახლეობის ხარჯზე, ესე იგი, რაც მეტი მოხუცია, საერთო საზოგადოებრივი დოვლათის მით უმეტესი ნაწილია საჭირო მათ შესანახად, ეს კი ძირითადი დოვლათის შემქმნელი საზოგადოების ხარჯზე ხდება. მაგრამ ეს გარემოება საკითხის მხოლოდ ერთი მხარეა, რაც ზოგიერთი სოციოლოგის, ეკონომისტისა და სახელმწიფო მოღვაწის შეშფოთებას იწვევს.

მართლაც, მოხუცებს სხვადასხვა ეპოქასა და სხვადასხვა ქვეყანაში, სოციალური წყობის მიუხედავად, ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობის ხარჯზე „ინახავენ", მაგრამ საზოგადოებრივ ურთიერთობაში მოხუცები არავითარი გაგებით არ არიან საზოგადოების სარჩენი. დღევანდელი მოხუცები ერთგვარი კრედიტორები არიან, რომელთა ინაშე საზოგადოება მუდამ ვალშია და მათ მხოლოდ დანაზოგს უნაზღაურებს.

მოხუცთა პენსია ქველმოქმედების ფორმა კი არა, მათ მიერ გაწეული შრომის კანონიერი ანაზღაურებაა.

ასაკის მატებასთან ერთად იცვლება ადამიანის ცხოვრების დონე და წესი. გარკვეულ ასაკამდე იზრდება შრომის ნაყოფიერება. ასეთ შემთხვევაში ბუნებრივად იბადება კითხვა; აქვს თუ არა უფლება უფროსი ასაკის (მატერიალური დოვლათის შემქმნელ) შრომისუუნარო მოსახლეობას, მოსთხოვოს საზოგადოებას მეტი გულისხმიერება, ზრუნვა, რათა შეიქმნას ყველა პირობა, რომ წლებს მიემატოს სიცოცხლე, სიცოცხლეს კი სრულფასოვანი ცხოვრება. პასუხი ერთია — მოხუცებულობით პენსიონერებს როგორც მორალურად, ისე ეკონომიკურად სრული უფლება აქვთ ისარგებლონ ცხოვრების იმ დონით, რომელსაც მომდევნო თაობა ქმნის, რადგან საზოგადოების ეკონომიკური, სოციალური და კულტურული პროგრესი მათი კაპიტალდაბანდების რენტაა.

სოციალისტური საზოგადოება უფროსი ასაკის მოსახლეობას მიიჩნევს თაობად, რომელმაც თავისი დაუზოგავი შრომით განაპირობა თანამედროვე ეკონომიკური, სოციალური და კულტურული პროგრესი. საბჭოთა კონსტიტუციის საფუძველზე ყოველი მშრომელი მატერიალურად უზრუნველყოფილია სიბერეში.

გერონტოლოგიური კვლევის შედეგები ნათლად მოწმობს, რომ ადამიანის ბიოლოგიური ასაკი ყოველთვის არ ემთხვევა მის ქრონოლოგიურ ასაკს. ამ აზრის დადასტურება ისიც გახლავთ, რომ ადამიანის ასაკსა და გონებრივ თუ ფიზიკურ პოტენციას შორის ყოველთვის არ არის პირდაპირი დამოკიდებულება. ეს გვაძლევს საფუძველს გამოვთქვათ მოსაზრება, რომ ასაკი ყოველთვის არ შეიძლება იყოს პენსიაზე — დამსახურებულ დასვენებაზე გასვლის (თუნდაც ერთ-ერთი) გადამწყვეტი კრიტერიუმი.

ამიტომ იბადება კითხვა: არსებული კანონმდებლობის ფარგლებში რამდენად სწორია ტერმინი „მოხუცებულობით პენსიონირება"? ხომ არ აჯობებს ტერმინი „შრომის პენსია" ან „შრომის ვეტერანთა პენსია". სადღეისოდ მიღებულია, რომ მოხუცებულობის ასაკი იწყება 75 წლიდან, ესე იგი, 15-20 წლით უფრო გვიან, ვიდრე საპენსიო ასაკი. მოსახლეობის პენსიონირება კი ხორციელდება, როგორც ასაკის, ისე სამუშაო სტაჟის მიხედვით.

დაბერების პროცესი მიმდინარეობს არა მარტო ორგანიზმში, როგორც ბიოლოგიურ ერთეულში, არამედ საზოგადოებაშიც და ეს გარკვეულ კვალს აჩნევს საზოგადოების ორგანიზაციის სხვადასხვა სფეროს, სამედიცინო და სოციალურ მომსახურებას, გეგმიან მეურნეობას, ეკონომიკას და სხვა.

მოსახლეობის ასაკობრივ სტრუქტურაში მომხდარი ძვრები აისახა ჰოსპიტალიზებულ ავადმყოფთა კონტინგენტშიც. მაგალითად, რესპუბლიკის ცენტრალურ კლინიკურ საავადმყოფოში 60 წლის და მეტი ასაკის ავადმყოფთა საერთო რაოდენობა 1936 წელს შეადგენდა 13,2 პროცენტს, 1970 წელს ამავე ასაკის ავადმყოფთა რაოდენობა თითქმის ორჯერ გაიზარდა (24,6 პროცენტი), ხოლო 1981 წელს კი შეადგინა 30,5 პროცენტი.

მოსახლეობის დაბერების პროცესთან ერთად საგრძნობლად იმატა ქრონიკულად მიმდინარე დაავადებათა რიცხვმა. შესამჩნევად გაიზარდა ავადმყოფობათა კომპლექსურობა, ანუ ერთი და იგივე პირის რამდენიმე სნეულებით დაავადება, მოიმატა გულ-სისხლძარღვთა, სასუნთქი, საყრდენ-მამოძრავებელი სისტემების დაავადებათა სიხშირემ. ამის გამო საავადმყოფოები გადატვირთულია ქრონიკული ავადმყოფებით, რასაც მოსდევს, ერთი მხრივ, ძვირადღირებული დიაგნოსტიკური და სამკურნალო აპარატურა-ხელსაწყოების მოცდენა, რომლებიც დღეს აუცილებელია პროფილური სპეციალიზებული სამკურნალო დაწესებულებებისათვის, მეორე მხრივ, ქრონიკული დაავადებების გამო ავადმყოფებს სჭირდებათ არა მარტო სტაციონარში მკურნალობა, არამედ სპეციალურ სამკურნალო-რეაბილიტაციური მკურნალობაც. საავადმყოფოების გადატვირთვის გამო ზოგჯერ საავადმყოფო იძულებულია უარი უთხრას მიღებაზე სხვა ავადმყოფებს.

შექმნილი ვითარებიდან გამოსავალია ქრონიკული ავადმყოფებისათვის სპეციალური განყოფილებების შექმნა.

ამბულატორია-პოლიკლინიკებში მომსვლელთა 20-25 პროცენტს შეადგენენ 60 წლის და მეტი ასაკის პირები, ხოლო პოლიკლინიკის ექიმთა ბინაზე გამოძახების 50-70 პროცენტი მოდის ხანში შესულ და მოხუცებულ ავადმყოფებზე, ამასთან ერთად პოლიკლინიკური სამსახურის დატვირთვის 50-55 პროცენტი ექიმ-თერაპევტებზე მოდის. ამდენად თერაპიული სამსახურის მნიშვნელოვან ნაწილს გერიატრიული პროფილიც უნდა წარმოადგენდეს, ხოლო გერიატრიული სამსახური მთლიანი სამკურნალო-პროფილაქტიკური მომსახურების ერთ-ერთ შემადგენელ რგოლად უნდა იქცეს.

ყოველივე ზემოაღნიშნული: ხანში შესულ და მოხუცებულ ავადმყოფთა რიცხვის ზრდა, დაავადებათა კომპლექსურობა, ხანგრძლივი სტაციონარული მკურნალობის აუცილებლობა ამ ასაკის კონტინგენტისათვის სპეციალურ სამკურნალო-რეაბილიტაციურ ღონისძიებათა საჭიროება, ექიმთა და დამხმარე სამედიცინო პერსონალის მომზადება გერიატრიული პროფილით, ასაკობრივი ფარმაკოლოგიური ნორმების შემუშავება და სხვა უსათუოდ უნდა აისახოს ჯანმრთელობის დაცვის გეგმებში. ამ საკითხებს, ხომ სამედიცინო მომსახურების სრულყოფის გარდა, სოციალურ-ეკონომიური მნიშვნელობაც აქვს.

გერონტოლოგიურ საბაზო დაწესებულებათა უქონლობის გამო სუსტად ინერგება მეცნიერული მიღწევები, ეს მეცნიერული მიღწევები კი საკმაო, თუნდაც იმ გამოკვლევების სახით, რომლებიც ჩვენს რესპუბლიკაში უკანასკნელ ორ ათწლეულში შესრულდა, განსაკუთრებით სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტში.

სსრ კავშირის ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს გადაწყვეტილებით მოკავშირე რესპუბლიკებს 1980 წლის 1 იანვრისათვის უნდა უზრუნველეყოთ უწინარესად ექიმ-თერაპევტების, კარდიოლოგების, ენდოკრინოლოგების, გინეკოლოგებისა და ოტორინოლარინგოლოგების გერიატრიული პროფილით მომზადება, ასევე სათანადო საშუალო სამედიცინო პერსონალისა. ამავე გადაწყვეტილების საფუძველზე საბჭოთა კავშირის 9 ქალაქში, მათ შორის თბილისში 1978 წლისათვის უნდა ჩამოყალიბებულიყო გერონტოლოგიის კომპლექსური სამედიცინო-სოციალური ცენტრები, რომლის სტრუქტურა მჭიდროდ იქნებოდა დაკავშირებული სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭოების აღმასკომებთან, სოციალური უზრუნველყოფის ორგანოებთან, პროფკავშირისა და წითელი ჯვრის ორგანიზაციებთან.

1978 წლიდან სამედიცინო ინსტიტუტებისა და სამედიცინო დაწესებულებების სასწავლო პროგრამებში უნდა შეეტანათ გერონტოლოგიისა და გერიატრიის სალექციო კურსი.

გერონტოლოგიური სამეცნიერო-მეთოდიკური ცენტრის სახელი, მართალია, ერქვა რესპუბლიკის ერთ-ერთ გერონტოლოგიურ ლაბორატორიას, მაგრამ მას არ შეეძლო და არც ჰქონდა საშუალება განეხორციელებინა იმ მოცულობის მუშაობა, რომელიც სავალდებულოა კომპლექსური სამედიცინო-სოციალური ცენტრისათვის.

ასეთი ცენტრის მუშაობის მიზანს კი შეადგენდა ხანში შესული და მოხუცებული ასაკის მოსახლეობის სამედიცინო და სოციალური მომსახურების დაგეგმვა, კოორდინაცია და კონტროლი, გერიატრიული კაბინეტებისა და კონსულტაციური სტაციონარების საშუალებით უფროსი ასაკის მოსახლეობის სამედიცინო მომსახურების სრულყოფა. ექიმთა და უმცროსი სამედიცინო პერსონალის სპეციალიზაცია გერიატრიის პროფილით. პენსიისწინა ასაკის მოსახლეობისათვის კონსულტაციების ორგანიზაცია: სოციალურ-იდეური, შრომამოწყობითი, სპეციალობის გადამზადების, ოჯახურ-საყოფაცხოვრებო, სახლ-ინტერნატების ორგანიზაციის საკითხებზე და სხვა, რაიაღმასკომის სპეციალურ განყოფილებებთან ერთად ხანში შესული და მოხუცებულთა მომსახურების სფეროს დაგეგმვაში მონაწილეობის მიღება (ბინების განაწილება, მარტოხელა მოხუცებთან საკვებისა და მედიკამენტების მიტანა, დახმარება პირადი ჰიგიენის დაცვის საქმეში, დასვენების, ტურისტულ ღონისძიებაში მონაწილეობა და სხვ.).

გერონტოლოგიისა და გერიატრიის სალექციო კურსის შემოღების საკითხი დღესაც გადაუწყვეტელია.

საქართველოს სსრ სოციალური უზრუნველყოფის სამინისტრომ უკანასკნელ წლებში გარკვეული მუშაობა გასწია მოხუცთა და ინვალიდთა სახლ-ინტერნატების საქმიანობის გაუმჯობესებისათვის. შედეგიც არის — ამაღლდა სახლ-ინტერნატებში მცხოვრებთა კულტურულ-საყოფაცხოვრებო და სამედიცინო მომსახურება, გაუმჯობესდა კვება და სანიტარიული პირობები. სამინისტროს ინიციატივით შეიქმნა ახალი ტიპის პანსიონატები ვეჯინსა და თბილისში. ასეთი ტიპის პანსიონატები რესპუბლიკისათვის ყველაზე მისაღები ფორმაა, იქმნება ორ თვემდე, ზოგჯერ მეტი ვადით, ხანში შესულთა და მოხუცებულთა ნორმალურ საყოფაცხოვრებო პირობებში ცხოვრებისა და დასვენების საშუალება. კარგი წამოწყება კარგ გაგრძელებასაც მოითხოვს. როგორც ცნობილია, მოხუცებულთა ასაკობრივ სტრუქტურულ-ფუნქციურ ცვლილებებს ქრონიკულად მიმდინარე დაავადებებიც ახლავს. სახლ-ინტერნატში არა მარტო სასურველია, არამედ აუცილებელიც არის მკურნალობის სწორი ორგანიზაცია როგორც პოლიკლინიკური მომსახურების გზით, ასევე ექიმთა და საშუალო სამედიცინო პერსონალის რაოდენობის გაზრდით და მათი სპეციალიზაციით.

მოხუცთა და ინვალიდთა სახლ-ინტერნატებში სამუშაოდ მომსახურე პერსონალის მისაზიდად სასურველია, სამედიცინო პროფილის სასწავლებლებში მიღებისას უპირატესობა მიეცეთ იმ პირებს, რომლებმაც ორი წელი მაინც იმუშავეს ასეთ დაწესებულებებში.

განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მოხუცებულობით პენსიონერთა შრომისუნარიანობის და მათთვის შრომამოწყობის ორგანიზაციის საკითხი.

მოხუცებულობით პენსიონერთა შრომით გამოყენებას, გარდა სახელმწიფოებრივ-ეკონომიურისა, დიდი მნიშვნელობა აქვს თვითონ პიროვნებისთვისაც როგორც საზოგადოების სრულფასოვანი წევრისათვის. სასარგებლო საქმიანობა კოლექტივში, საზოგადოებრივი სრულფასოვნების და იმის შეგნება, რომ იგი საზოგადოებისათვის ჯერ კიდევ საჭიროა, მისი ცოდნა და გამოცდილება ხმარდება ხალხს, სახელმწიფოს ინტერესებს, ძლიერი, ფსიქოლოგიური ფაქტორებია. ამასთან შრომითი საქმიანობა მნიშვნელოვანი თუ არა. გადამწყვეტი ფაქტორია ორგანიზმის აუცილებელი სასიცოცხლო ტონუსის შესანარჩუნებლად. უფრო მეტიც. რაციონალური შრომითი საქმიანობა ჯანმრთელობისა და, რაც მთავარია, აქტიური დღეგრძელობის საწინდარია.

მოხუცებულობით პენსიონერთა შრომით საქმიანობაში მონაწილეობას განსაზღვრავს სხვადასხვა ფაქტორის კომპლექსი, რომელთა შორის გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს პიროვნების ფიზიკურ და გონებრივ შესაძლებლობებს, შრომის პირობებს, ხასიათს და მოცულობას. ამ საკითხის მოსაგვარებლად აუცილებელია მოხუცებულობით პენსიონერთა ჯანმრთელობის მდგომარეობის და შრომისუნარიანობის განმსაზღვრელი კრიტერიუმების დადგენა, რომელთა საფუძველზე პენსიონერებს მიეცემათ მეცნიერულად დასაბუთებული რეკომენდაციები. მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დღევანდელ ვითარებაში განუხრელად იზრდება კვალიფიციური, ინტელექტუალური შრომის ხვედრითი წილი. ადამიანს მოეთხოვება არა იმდენად ფიზიკური ძალა, რამდენადაც საერთო და პროფესიული ცოდნის მაღალი დონე.

მოხუცებულობით პენსიონერთა შრომის გამოყენების საკითხში სოციალისტური საზოგადოება არ ხელმძღვანელობს მხოლოდ ეკონომიური მოსაზრებებით. ეკონომიური რენტაბელობა შერწყმული უნდა იყოს ჰუმანურ პრინციპებთან.

საპენსიო ასაკის პირთა შრომითი შესაძლებლობის, მათი მდიდარი გამოცდილების გამოყენების დიდ მნიშვნელობას ადასტურებს სკკპ ყრილობათა სადირექტივო დოკუმენტები, პარტიისა და მთავრობის მიერ უკანასკნელ წლებში მიღებული მთელი რიგი დადგენილებები, რომლებშიც დასახულია შრომისუნარიან პენსიონერთა სახალხო მეურნეობაში ფართოდ ჩაბმისა და მათი შრომის გამოყენებისათვის პირობების შექმნის კონკრეტული ამოცანები.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ექსპერიმენტული მორფოლოგიის ინსტიტუტის გერონტოლოგიის განყოფილებაში 1975-1980 წლებში შეისწავლეს არამომუშავე ასაკით პენსიონერთა (60-64 წლის მამაკაცები) ჯანმრთელობის მდგომარეობა და შრომისუნარიანობა.

განხორციელებული კვლევის შედეგად აღმოჩნდა, რომ შრომისუნარიანი იყო 85 პროცენტზე მეტი არამომუშავე პენსიონერი. ხანში შესულთა შრომისუნარიანობის განსაზღვრის ეს პროგრამა საშუალებას გვაძლევს მივიღოთ სრული ინფორმაცია იმ შრომითი რესურსების შესახებ, რომლებიც მოგვეპოვება უფროსი ასაკის მოსახლეობაში.

მიუხედავად იმისა, რომ ასაკით პენსიონერთა შრომის გამოყენებისათვის არსებობს ობიექტური წანამძღვრები: მუშაობის გაგრძელების სურვილი, საკმაოდ დიდი შრომისუნარიანობა, სახალხო მეურნეობის მოთხოვნა ასაკით პენსიონერებზე და სხვა, ამ უკანასკნელთა შრომის გამოყენება წარმოებაში ბრკოლდება სხვადასხვა მიზეზით, უპირველესად კი საჭირო ორგანიზაციული ფორმების არარაციონალური გამოყენების მიზეზით.

დღეისათვის საწარმოებსა და ორგანიზაციებში უფროსი ასაკის კონტინგენტისათვის არ არის შექმნილი ეკონომიკური სტიმულირების სათანადო სისტემა, ყველგან არ არის გათვალისწინებული მუშაობის საჭირო პირობები, ფართოდ ვერ განხორციელდა მუშაობის არასრული სამუშაო დროის სისტემა (არასრული სამუშაო დღე, არასრული სამუშაო კვირა) და შინახელოსნური წესით მუშაობა. მომუშავე პენსიონერთა 99,8 პროცენტი მუშაობს სრული დატვირთვით, მაშინ როდესაც გაცილებით უფრო მიზანშეწონილია ასაკით პენსიონერთა არასრული სამუშაო დროითა და შინახელოსნური წესით მოზიდვა.

ყოველივე ზემოთ აღნიშნული კიდევ ერთხელ მოწმობს, რომ ამ მიმართულებით დროული პრაქტიკული ღონისძიებების განხორციელება ხელს შეუწყობს ხანში შესული და მოხუცებული ასაკის მოსახლეობის არა მარტო სამედიცინო და სოციალური მომსახურების გაუმჯობესებას, არამედ მნიშვნელოვნად შეავსებს ქვეყნის შრომითი რესურსების არსებულ დეფიციტს, ესოდენ მნიშვნელოვანს მეთერთმეტე-მეთორმეტე ხუთწლედებში, და რაც მთავარია, მოსახლეობისათვის შექმნის აქტიური დღეგრძელობისა და სრულფასოვანი ცხოვრების მყარ საფუძველს.

ამ საკითხების გადაწყვეტა სხვადასხვა საუწყებო ორგანიზაციის კომპეტენციაში შედის. როგორც ეს საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის VI პლენუმზე აღინიშნა, საჭიროა, რომ საკითხი არ შეიზღუდოს ერთი სამინისტროს ან ერთი უწყების ფარგლებში და დავძლიოთ არსებული „ბარიერები", საჭიროა ჩამოყალიბდეს საუწყებათაშორისო პარტნიორობის ერთიანი პროგრამა, რომელიც თითოეული უწყების ან სამინისტროსათვის განკუთვნილ ამოცანას დაუახლოებს ერთმანეთს და ხელს შეუწყობს საბოლოო მიზნის განხორციელებას.

ნ. ჯავახიშვილი,
საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გერონტოლოგიის პრობლემური საბჭოს თავმჯდომარე, აკადემიკოსი;

ს. დალაქიშვილი,
საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ექსპერიმენტული მორფოლოგიის ინსტიტუტის გერონტოლოგიის განყოფილების გამგე, მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატი.

შეხვედრა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში

28 ივლისს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილემ ვ. მ. სირაძემ მიიღო ჩვენს რესპუბლიკაში მყოფი თურქეთის წითელი ნახევარმთვარის საზოგადოების დელეგაცია ამ საზოგადოების პრეზიდენტის ქემალ დემირის მეთაურობით.

ამხ. სირაძემ სტუმრებს გააცნო ქართველი ხალხის უძველესი ისტორია და კულტურა, საბჭოთა საქართველოს დღევანდელი მიღწევები ეკონომიკისა და სოციალური განვითარების დარგში.

თურქეთის დელეგაციის სახელით ქემალ დემირმა მადლობა გადაიხადა გულთბილი მიღებისა და საინტერესო საუბრისათვის.

შეხვედრაში მონაწილეობდნენ სსრ კავშირის წითელი ჯვრისა და წითელი ნახევარმთვარის საზოგადოებათა კავშირის აღმასკომის საგარეო ურთიერთობის სამმართველოს უფროსის მოადგილე ვ. გ. ესიპოვიჩი, საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოების ცენტრალური კომიტეტის თავმჯდომარე თ. ს. ცახავა, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საქმეთა მმართველის მოადგილე ჰ. ა. ჭიპაშვილი.

27 და 28 ივლისს თურქი სტუმრები ეცნობოდნენ თბილისის ღირსშესანიშნაობებს, იყვნენ საქართველოს ძველ დედაქალაქ მცხეთაში. ისინი მიიღეს საქართველოს ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროში. დაათვალიერეს ბავშვთა რესპუბლიკური სარეაბილიტაციო ცენტრი. სტუმრები შეხვდნენ რესპუბლიკის წითელი ჯვრის საზოგადოების აქტივისტებს. (საქინფორმი).

საკდესისა და ახალი ამბების სააგენტოს კორესპონდენტები გვატყობინებენ

ფაქტები მოვლენები

29 ივლისი

● ნიკარაგუა

ბანდიტური შეჭრა

მანაგუა. ნიკარაგუის სამხედრო-საჰაერო ძალებმა თავიდან აიცილეს ამ ქვეყანაში ერთადერთი ნავთობგამოსახდელი ქარხნის დაბომბვა, რომელიც განხორციელებასაც აპირებდა ჰონდურასის მხრიდან ნიკარაგუის საჰაერო სივრცეში შემოჭრილი ორი სამხედრო თვითმფრინავი. მათ არ ჰქონდათ გამოსაცნობი ნიშნები.

როგორც რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტრომ განაცხადა, 27 ივლისს დილით ნიკარაგუის საპატრულო ავიაგამანადგურებელმა აღმოაჩინა რაკეტებითა და ბომბებით აღჭურვილი მტრის თვითმფრინავები, რომლებიც მანაგუის შემოგარენში ნავთობგამოსახდელი ქარხნისაკენ მიფრინავდნენ.

ნიკარაგუის სამხედრო-საჰაერო ძალები მათ მისდევდნენ იმ მომენტამდე, სანამ დამრღვევი თვითმფრინავები კვლავ არ მიიმალნენ ჰონდურასის საჰაერო სივრცეში.

საგარეო საქმეთა სამინისტროს განცხადებაში ნათქვამია, რომ ეს ბანდიტური შემოჭრა მოულოდნელობა არ ყოფილა ნიკარაგუის მთავრობისათვის. რამდენიმე თვის წინათ, ნათქვამია დოკუმენტში, ქვეყნის სახელმწიფო უშიშროების ორგანოებმა აღმოაჩინეს ნიკარაგუის წინააღმდეგ დიდი დივერსიული აქციების გეგმა, რომელიც ითვალისწინებს, კერძოდ, რესპუბლიკისათვის სტრატეგიული მნიშვნელობის ეკონომიკურ ობიექტებზე საჰაერო შეტევებს.

ამ ცოტა ხნის წინათ უცნობი თვითმფრინავი შეეცადა აეფეთქებინა საწვავის საწყობები ნიკარაგუის კორინტოს ნავსადგურში. მაგრამ მის მიერ გაშვებული რაკეტები მიზანს ვერ მოხვდა. ეს თვითმფრინავი აგრეთვე მიიმალა ჰონდურასის მიმართულებით.

● ზიმბაბვე

დივერსანტები შეიპყრეს

ხარარე. ზიმბაბვეს საგამოძიებო ორგანოებმა შეიპყრეს 11 კაცი, რომლებსაც ბრალად ედებათ ამას წინათ ქალაქ გვერის მახლობლად მდებარე ტორნჰილის საავიაციო ბაზაზე თავდასხმაში მონაწილეობა. დაპატიმრებულთა უმრავლესობა ზიმბაბვეს სამხედრო-საჰაერო ძალების თეთრკანიანი სამხედრო მოსამსახურეები არიან, რომლებიც განმათავისუფლებელი ომის დროს პატრიოტთა წინააღმდეგ საბრძოლო მოქმედებაში მონაწილეობდნენ.

დივერსიის შედეგად ტორნჰილის ბაზაზე დაზიანდა 12 საბრძოლო თვითმფრინავი. როგორც დასავლეთის ინფორმაციო სააგენტოები აღნიშნავენ, ძირგამომთხრელი აქცია განხორციელდა რასისტული სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის სცენარის მიხედვით, რომელიც ამერიკის ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს მონაწილეობით შეიმუშავეს.

● კენია

დანაშაულებრივი აქცია

ნაირობი. მორიგი დანაშაულებრივი აქცია განახორციელეს სომალის შეიარაღებული ბანდების — ეგრეთ წოდებული „შიფტის" ტერორისტებმა, რომლებიც მოკალათებული არიან სომალის მოსაზღვრე კენიის რაიონებში. ამჯერად მათ ცეცხლი დაუშინეს სამგზავრო ავტობუსს, რომელიც მომბასიდან ლამუში (სანაპირო პროვინცია) მიდიოდა. რამდენიმე მგზავრი მოკლულია ან დაჭრილია.

საერთაშორისო შენიშვნები

თელ-ავივის აგრესიის არსი და მიზნები

ასეთი ხელგაშლილობის მომსწრე სამხრეთ ლიბანში ჯვაროსანთა ციხესიმაგრე ბოფორიც კი არ ყოფილა: ისრაელის პრემიერი ბეგინი მედიდურად ეუბნება ლიბანის არმიიდან დეზერტირებულ ყოფილ მაიორ ჰადადს — „ბოფორი შენია, მე მას გჩუქნი!" ეს სცენა მიმდინარე წლის 10 ივნისს გათამაშდა ძველი სიმაგრის ნანგრევებზე, ხუთი დღის შემდეგ, რაც ისრაელის ტანკებმა კიდევ ერთი სუვერენული არაბული სახელმწიფოს საზღვრები გადალახეს და ახალი დაპყრობითი ომით „გაამდიდრეს" ქვეყნის ისტორია.

სადღეისოდ ლიბანში ისრაელის აგრესიის ქრონიკები კარგად არის ცნობილი, მალე ორი თვე შესრულდება, რაც იგი მსოფლიო საზოგადოებრიობის ყურადღების ცენტრშია, საერთაშორისო წრეებში ისრაელის მოქმედება უკვე კვალიფიცირებულია როგორც ტიპობრივი გენოციდი, რომლის ერთ-ერთი მთავარი მიზანია პალესტინელი ხალხის ფიზიკური განადგურება.

ამასთანავე საკითხის არსი გაცილებით ღრმა და რთულია, ვიდრე ეს ერთი შეხედვით შეიძლება მოგვეჩვენოს. ვაშინგტონის, იგივე ჰადადის, სხვა არაბულ სახელმწიფოთა, არაბი ხალხის ჭეშმარიტ მეგობართა როლი, აგრესიის აშკარა და ფარული მიზნები და სხვა მრავალი ფაქტორი რთულ პოლიტიკურ მოზაიკას ქმნის...

...უკვე თავისებურ ტრადიციად იქცა, რომ ისრაელის ყოველ აგრესიას, მიმართული იქნება იგი არაბული სამყაროს რომელიმე სუვერენული ქვეყნისა თუ ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრებ არაბთა წინააღმდეგ, თან სდევს დასავლეთის, უპირველეს ყოვლისა სიონისტური, მასობრივი ინფორმაციის ორგანოთა ფართო პროისრაელური კამპანია. ისეთ სურათს ქმნიან, თითქოს ისრაელი — ეს პატარა „მშვიდობისმოყვარე", „ღვთის რჩეული" ხალხით დასახლებული სახელმწიფო მხოლოდ საკუთარ თავდაცვაზე ზრუნავდეს და ფიზიკური არსებობის საფრთხე ემუქრებოდეს არა პალესტინელ, არამედ ებრაელ ხალხს. დასავლეთში თითქმის არაფერი იწერება არცთუ ისე შორეულ წარსულზე, როდესაც სიონისტმა ტერორისტებმა ცეცხლითა და მახვილით განდევნეს მშობლიური ადგილებიდან დღევანდელი პალესტინელი ლტოლვილები და ამით დაუდეს სათავე ამ რთულ პრობლემას.

პალესტინის პრობლემის ისტორიულ ფესვებს მე-19 საუკუნის დასასრულამდე მივყავართ. იმ დროისათვის პალესტინა ლიბანთან და სირიასთან ერთად, თურქეთის იმპერიის შემადგენლობაში მთლიან პროვინციას წარმოადგენდა, რომლის ცენტრი დამასკო იყო. პროვინციაში 24 ათასი ებრაელი ცხოვრობდა — ქვეყნის მთელი მოსახლეობის 5 პროცენტი. სიონისტურ ორგანიზაციათა კოლონიური მოღვაწეობის შედეგად 1917 წლისათვის ებრაული მოსახლეობის საერთო რაოდენობამ პალესტინაში 56,7 ათასს მიაღწია, რაც პალესტინის მოსახლეობის 8 პროცენტს შეადგენდა. მათ ხელში იყო პალესტინის მიწების 2 პროცენტი.

რა გეგმები ჰქონდათ სიონისტებს პალესტინის მიმართ? აი რას წერს თავის მემუარებში სიონიზმის ერთ-ერთი მამამთავარი ჰერცლი: „როცა ჩვენ პალესტინას დავიკავებთ, მიწას დავეპატრონებით, ჩვენ მოგვმართავენ მსხვილი მიწათმფლობელები, რომლებიც ნებაყოფლობით მაღალ ფასად მოგვყიდიან მიწას. ამავე დროს ადგილობრივ ღარიბებს გავასახლებთ, ხელს შევუწყობთ მათ ემიგრაციას. დარჩენილ ადგილობრივ მოსახლეობას გამოვიყენებთ რაიონებში, სადაც ბევრი გველი და ნადირია და ინფექციური დაავადებანი მძვინვარებს. ყოველივე ეს გაზრდის არაბი მოსახლეობის სიკვდილიანობას".

როგორც შემდგომში გამოირკვა, სიონისტები მარტო შხამიანი გველების, ნადირისა და ინფექციურ დაავადებათა იმედით არ ყოფილან. არაბ მოსახლეობაში „სიკვდილიანობის ზრდას" სხვა უფრო საიმედო და ტრადიციული მეთოდითაც უწყობდნენ ხელს. ასე იყო, როდესაც 1948 წლის 9-10 აპრილს ბეგინის ტერორისტებმა მთლიანად ამოწყვიტეს არაბული სოფლის დერ-იასინის 300-მდე მშვიდობიანი მცხოვრები. ამის თაობაზე მოგვიანებით იგივე ბეგინი საჯაროდ იტყვის „თუ არა გამარჯვება დერ-იასინში, ისრაელი არ შეიქმნებოდა". როგორც ვხედავთ, პალესტინის მშვიდობიანი მოსახლეობის ფიზიკური მოსპობა სიონისტთა ხანგრძლივი სტრატეგიის არსებითი შემადგენელი ნაწილია, რომლის გამართლებაც „პალესტინელთა ტერორიზმი" ყოვლად შეუძლებელი და არადამაჯერებელია.

ყოველთვის, როგორც კი საუბარი ისრაელის აგრესიაზე ჩამოვარდება, დღის წესრიგში მთელი სიგრძე-სიგანით დგება ამერიკის შეერთებული შტატების როლის საკითხი. ასეა ამჯერადაც. ამერიკის სამხედრო, დიპლომატიური, ეკონომიკური და მორალური მხარდაჭერა რომ არა, ისრაელი ვერც ერთ აგრესიას ვერ განახორციელებდა, მაგრამ ვაშინგტონსაც გადაწყვეტილი აქვს ისარგებლოს ისრაელის აგრესიით როგორც მისმა აქტიურმა თანამონაწილემ, და თავისი სამხედრო ყოფნა გააძლიეროს ამ რეგიონში.

დღეს ყველამ იცის, რომ ლიბანში შეჭრის გეგმა ვაშინგტონთან იყო შეთანხმებული. ასევე მოულოდნელი არ ყოფილა ბეგინის მოთხოვნა, სამხრეთ ლიბანში ეგრეთ წოდებული „საერთაშორისო ძალების" განლაგების თაობაზე, რომლის ბირთვიც პენტაგონის ნაწილებმა უნდა შეადგინონ. გავიხსენოთ, რომ ახლო აღმოსავლეთის რაიონში „სწრაფი მოქმედების ძალებისათვის" უკვე პენტაგონის განკარგულებაშია შემდეგი ბაზები: ეგვიპტეში — რას ბანასი, ომანში — ეს-სიბი, ტამრიდი, მასკატი, სალალა, მასირა, სომალში — ბერბერა, მოგადიშო, კენიაში — ნაირობი, ნანიუკი, მომბასა.. გამორიცხული არ არის ბაზებისა და სხვა სამხედრო ობიექტების გამოყენება ისრაელის, სუდანისა და ჯიბუტის ტერიტორიებზე. მიუხედავად ასეთი ფართო ქსელისა, ფრანგული „მონდის" აზრით, რეიგანს იგი საკმარისად არ მიაჩნია იმ მომენტისათვის, როდესაც „სწრაფი მოქმედების ძალები" ოპერაციებს დაიწყებენ გეოგრაფიულ რაიონში, რომელსაც ვაშინგტონში „კრიზისის რკალი" შეარქვეს.

ახლა კონკრეტულად ისრაელის (და, ბუნებრივია, ვაშინგტონის) მიზნებზე. მიუხედავად იმისა, რომ თელ-ავივში თვით პალესტინელი ხალხის არსებობის ფაქტსაც კი არასოდეს არ აღიარებდნენ („პალესტინელები? მითხარით, სად და როდის ცხოვრობდნენ ისინი?" — ცინიკურად სვამდა კითხვას გ. მეიერი), კარგად ესმით, რომ სანამ არსებობს პალესტინელი ხალხი, იგი იბრძოლებს კიდეც თავისი უფლებებისათვის. ამიტომ კურსი აღებულია პალესტინელთა ფიზიკურ განადგურებაზე. დღეს ბეგინი საჯაროდ აცხადებს, რომ ჯარებს არ გაიყვანს ლიბანიდან, სანამ მიღწეული არ იქნება პოლიტიკური მოწესრიგება. რას გულისხმობს იგი? უპირველეს ყოვლისა, ლიბანში პროისრაელური მთავრობის შექმნას, რომელიც საზავო ხელშეკრულებას დადებს ისრაელთან და ეგვიპტესავით შეუერთდება კემპ-დევიდს. საერთოდ უნდა აღინიშნოს, რომ თუ არა კემპ-დევიდი, მიმომხილველთა აზრით, თელ-ავივი ვერ გაბედავდა ასეთი ფართო აგრესიის წამოწყებას. სპეციალისტთა მონაცემებით, ისრაელის 12 დივიზიიდან 8-9 დღეს ლიბანში იბრძვის, ესე იგი გაშიშვლებულია ეგვიპტესთან საზღვარი. აი სეპარატული გარიგების პირდაპირი შედეგი. აგრესიის შედეგად საგრძნობლად უნდა დასუსტდეს სირიის პოზიციები, სამხრეთ ლიბანში უნდა შეიქმნას ეგრეთ წოდებული ბუფერული ზონა საერთაშორისო ძალებით და ამერიკელთა მონაწილეობით. საინტერესოა, რომ ამ საკითხში თელ-ავივი კურიოზულ წინააღმდეგობას წააწყდა: ლიბანში თუ არც ერთი პალესტინელი პარტიზანი არ უნდა დარჩეს და საერთოდ არ უნდა იყოს წარმოდგენილი პალესტინის განთავისუფლების ორგანიზაცია, მაშინ რა საჭიროა ბუფერული ზონა საერთაშორისო [illegible] ძალებითურთ და ვისგან უნდა დაიცვას მან ისრაელი? [illegible] რომ ბუფერულ ზონას [illegible]ტირი ჰადადით და საერთაშორისო ძალებით სულ სხვა, ფარული დანიშნულება აქვს.

ბეირუთი, როგორც ცნობილია, მთელი ახლო აღმოსავლეთის საზღვარ-კარიბჭე იყო. აქ მოდიოდა ტვირთი ამერიკიდან, ევროპიდან, იაპონიიდან და შემდეგ ტრანზიტით იგზავნებოდა ახლო აღმოსავლეთის სხვა ქვეყნებში. რატომ არ შეიძლება ბეირუთი ჰაიფით შეიცვალოს? — ფიქრობენ თელ-ავივში. ასევე დიდი ხანია, რაც ისრაელში ხარბი თვალით უყურებენ სამხრეთ ლიბანის წყლის რესურსებს. ეს საკითხიც, ალბათ, იოლად მოგვარდება, თუ ბეირუთში პროისრაელური მთავრობა დამკვიდრდება, ხოლო სამხრეთის „ანკლავს" ჰადადი მართავს.

მართალია, ისრაელი ამერიკის დახმარებით ჯერ კიდევ ახერხებს თავისი აგრესიული გეგმების განხორციელებას, რასაც გარკვეულწილად ხელს უწყობს არაბულ სამყაროში არსებული გათიშულობა. მაგრამ ისიც ფაქტია, რომ დრო არაბი ხალხის სასარგებლოდ მუშაობს. ამის ნათელი დადასტურებაა პალესტინის განთავისუფლების ორგანიზაციის საერთაშორისო პოპულარობის ზრდა. ვერც ისრაელმა და ვერც ამერიკის შეერთებულმა შტატებმა ვერ შეძლეს ხელი შეეშალათ ამ კანონზომიერი პროცესისათვის. განა ცოტას ნიშნავს ის ფაქტი, რომ დღეს პალესტინელთა ხმა თვით გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ტრიბუნიდან გაისმის? თავისუფლებისა და ეროვნული დამოუკიდებლობისათვის უთანასწორო ბრძოლაში განმტკიცდა პალესტინის განთავისუფლების ორგანიზაცია, სულ ათიოდე წლის წინათ განა შეძლებდა მას ასეთი გმირული წინააღმდეგობა გაეწია უახლესი ამერიკული ტექნიკით აღჭურვილი ისრაელის 120-ათასიანი არმიისათვის? ახლო აღმოსავლეთის ომების ისტორიაში ეს ომი ყველაზე ხანგრძლივი ომია, რომელშიც ისრაელმა მეტი ზარალი განიცადა, ვიდრე 1973 წლის ომში. ამიტომ არის, რომ პალესტინელ პარტიზანთა მიერ განადგურებული სამხედრო ტექნიკა, ისრაელის თავდაცვის მინისტრის შარონის ბრძანებით, ღამღამობით მოძრაობისათვის დახურული გზებით გააქვთ ბრძოლის ველიდან, გენერალი შარონი უსაფუძვლოდ როდი შიშობს, რომ მწყობრიდან გამოყვანილი დიდძალი ტექნიკის ხილვა არასასურველ ფსიქოლოგიურ ეფექტს მოახდენს ისრაელის არმიაზე. ისიც ბუნებრივია, რომ პალესტინელთა სიმტკიცისა და საერთაშორისო ავტორიტეტის ზრდას ხელი შეუწყო საბჭოთა კავშირისა და მთელი სოციალისტური ბანაკის პრინციპულმა პოზიციამ. ლენინური საგარეო პოლიტიკის ურყევი პრინციპების ერთგული საბჭოთა კავშირი ისრაელის აგრესიის პირველი დღეებიდანვე მხარს უჭერს პალესტინის არაბი ხალხის კანონიერ ინტერესებს. ასეა ამ დღეებშიც, როდესაც საქართველოს მშრომელები მთელ საბჭოთა ხალხთან ერთად ურყევ სოლიდარობას უცხადებენ მრავალტანჯულ, მაგრამ ქედმოუხრელ გმირ პალესტინელებს.

პალესტინელთა საქმე სამართლიანია, მათ მხარეზეა მთელი პროგრესული საზოგადოებრიობა და, როგორც ამასწინათ ლ. ი. ბრეჟნევმა გაზეთ „პრავდის" კითხვებზე პასუხში აღნიშნა, „რაც უფრო შეკავშირდებიან ისრაელის სამხედრო ავანტიურის წინააღმდეგ მებრძოლი ძალები, მით უფრო მეტი სახელმწიფო მოითხოვს აგრესიის აღკვეთას, მით უფრო მალე და საიმედოდ მოეღება ბოლო ამ აგრესიას".

ს. ცინცაძე,
„კომუნისტის" პოლიტიკური მიმომხილველი.

ფოტოფაქტი

იაპონელთა პროტესტი

ტოკიო. „დაგვიბრუნეთ სუფთა ჰაერი!", „არ დავუშვათ ატომური სიკვდილი!" — ასეთი ლოზუნგებით გაიმართა პარლამენტის, ეკონომიკური ორგანიზაციების ფედერაციისა და სხვა უწყებების შენობათა წინ გარემოს გაჭუჭყიანების მსხვერპლთა საპროტესტო დემონსტრაციები და მიტინგები. ათას ხუთასამდე დემონსტრანტმა გულისწყრომა გამოთქვა მეწარმეთა ცინიკური პოლიტიკის გამო, რომლებიც ზემოგების მიზნით ათასობით ადამიანის ჯანმრთელობას არად აგდებენ, როცა სამრეწველო ნარჩენებით წამლავენ წყალსა და ჰაერს. გაზეთ „აკაჰატას" მონაცემებით, იაპონიაში „კოგაის" (ასე უწოდებენ აქ გარემოს გაჭუჭყიანებას სამრეწველო ნარჩენებით) ათი ათასზე მეტი ადამიანი ემსხვერპლა. მანიფესტაციების მონაწილეებმა თავიანთ გამოსვლებში აგრეთვე განაცხადეს, რომ ატომური ომი შეიძლება მთელი პლანეტის ბუნებრივი გარემოს დამღუპველი შეცვლის მიზეზი გახდეს და მთელი კაცობრიობა შეიწიროს.

სურათზე: მანიფესტაციის მონაწილენი, რომელთაგან ბევრნი სამუდამოდ არიან მიჯაჭვული ინვალიდის სავარძელს, მიემართებიან ცენტრალური მიტინგის მოწყობის ადგილისაკენ.

ჯაპან პრეს-საკდესის ფოტო.

ვითარება ლიბანში

ბეირუთი. ისრაელის არტილერიამ 27 ივლისს, საღამოს გამიზნულად დაუშინა ცეცხლი ლიბანის დედაქალაქში საბჭოთა საელჩოსა და სავაჭრო წარმომადგენლობის ტერიტორიას. საელჩოს ტერიტორიაზე აფეთქდა ოთხი ჭურვი, მათგან ორი ფოსფორული, სავაჭრო წარმომადგენლობის შენობა დაზიანდა ორი 155-მილიმეტრიანი ჭურვის პირდაპირი მოხვედრის შედეგად. დიდი მატერიალური ზარალი მიადგა საელჩოსა და სავაჭრო წარმომადგენლობის სასამსახურო და საცხოვრებელ ნაგებობებს. უნდა აღინიშნოს, რომ ლიბანის წინააღმდეგ ისრაელის ახლანდელი აგრესიის პერიოდში ეს უკვე მეხუთე შემთხვევაა, როცა ცეცხლი დაუშინეს საბჭოთა საელჩოსა და სავაჭრო წარმომადგენლობის ტერიტორიას.

ბეირუთი. ბეირუთის რადიოს ცნობით, 28 ივლისს, ღამით ძალაში შევიდა მორიგი შეთანხმება ცეცხლის შეწყვეტის შესახებ, ერთი მხრივ ისრაელსა და მეორე მხრივ, პალესტინის წინააღმდეგობის მოძრაობის გაერთიანებულ რაზმებსა და ლიბანის ეროვნულ-პატრიოტულ ძალებს შორის. მანამდე კი ისრაელის არტილერიამ მასირებული ცეცხლი დაუშინა დასავლეთ ბეირუთის ალყამორტყმულ რაიონებს. აგრესორებმა დაბომბეს ქალაქი.

ცეცხლის შეწყვეტის შესახებ ახლანდელი შეთანხმება რიგით მეშვიდეა ლიბანში ისრაელის შეჭრის დღიდან. თელ-ავივმა დაარღვია ყველა წინა შეთანხმება, რომლებსაც იგი იყენებდა თავისი ჯარების გადასაჯგუფებლად.

არქეოლოგია

სენსაციური ნაპოვნი

რომი. ბატისკაფის პროჟექტორმა სიბნელეში მოულოდნელად მიანათა ნახევრად დანგრეულ საცხოვრებელ ნაგებობებს... ფრანგი მკვლევარის ჟ. პიკარის „წყალქვეშა ხომალდი", რომელიც ას მეტრ სიღრმეზე ჩაეშვა, რომის მახლობლად მდებარე ვულკანური წარმოშობის ტბის ბრაჩანოს ფსკერზე წააწყდა უძველესი დასახლების ნანგრევებს. წყლის ზედაპირზე ამოიტანეს საკმაოდ კარგად შენახული ამფორები, ლარნაკები, შრომის იარაღები, გამომწვარი თიხის კერამიკული ნაწარმი. სპეციალისტთა წინასწარმა გამოკვლევამ ცხადყო, რომ ნაპოვნი ნივთები განეკუთვნება 1500 წელს ჩვენს წელთაღრიცხვამდე.

ჟ. პიკარის სენსაციური ნაპოვნი მოწმობს, რომ იტალიის ამ ნაწილში ბრინჯაოს ხანაში მცხოვრებ ადამიანთა დასახლებანი ყოფილა.

გამოჩენილი კურორტოლოგი

პროფესორ გ. წითლანაძის დაბადების მე-80 წლისთავი



საქართველო აღიარებული კურორტების ქვეყანაა. აქ მკურნალობს და ისვენებს ათასობით მშრომელი. ვინც ერთხელ მაინც ყოფილა ჩვენთან და უსარგებლია ჯანმრთელობის კერების სიკეთით, უთუოდ მადლობის გრძნობით განიმსჭვალებოდა აქ მომუშავე თეთრხალათიანების მიმართ, რომელთა ერთ-ერთი მთავარი ამოცანაა ადამიანთა ჯანმრთელობაზე ზრუნვა.

სწორედ ამიტომ დღეს დიდი პატივისცემითა და მადლიერების გრძნობით ვიგონებთ იმ ადამიანებს, რომელთა ცხოვრება და მოღვაწეობა მჭიდროდ არის დაკავშირებული რესპუბლიკაში მედიცინის მეცნიერების, კერძოდ, კურორტოლოგიის განვითარებასთან. ასეთ ადამიანთა რიგებს მიეკუთვნება საქართველოში სამეცნიერო კურორტოლოგიისა და საკურორტო საქმის ერთ-ერთი ფუძემდებელი, ცნობილი რევმატოლოგი, ექიმი და პედაგოგი, მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი გიორგი ვლადიმერის ძე წითლანაძე, რომელიც ახლა 80 წლისა იქნებოდა.

გ. წითლანაძე დაიბადა ასპინძის რაიონის სოფელ სახოში. თბილისის რეალური სასწავლებლის დამთავრების შემდეგ გიორგი სახელმწიფო უნივერსიტეტის სამედიცინო ფაკულტეტზე შევიდა, რომელიც 1929 წელს დაამთავრა.

ჯერ კიდევ სტუდენტობის წლებში მან მუშაობა დაიწყო კურორტოლოგიისა და ფიზიოთერაპიის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში. როგორც გ. წითლანაძის სტუდენტობის მეგობარი, აკადემიკოსი ავლიპი ზურაბაშვილი იგონებს, გიორგიზე დიდი გავლენა მოახდინა ცნობილი მეცნიერის ივანე ჯავახიშვილის გაცნობამ, რომელსაც უპირველეს სამედიცინო საქმედ კურორტების განვითარება და ხალხის ჯანმრთელობის დაცვა მიაჩნდა.

ეს ის წლები იყო, როდესაც ფრთებს შლიდა და ყალიბდებოდა ქართული კურორტოლოგიური სკოლა, რომლის ჩანასახი ბალნეოლოგიის განყოფილების სახით ჯერ კიდევ უნივერსიტეტის სამედიცინო ფაკულტეტის საფაკულტეტო თერაპიის კათედრასთან 1922 წელს ჩამოყალიბდა პროფესორ ა. ალადაშვილის ინიციატივით. მისივე წინადადებით ბალნეოლოგიის განყოფილებას სათავეში ჩაუდგა ი. კონიაშვილი, რომელიც არსებითად ქართული მეცნიერული კურორტოლოგიური სკოლის შემქმნელია. გიორგი წითლანაძე იმათ რიცხვს მიეკუთვნება, ვინც მ. ტყემალაძესა და დ. ჯავახიშვილთან ერთად ერთ-ერთი პირველთაგანი ამოუდგა მხარში ი. კონიაშვილს დიდი მეცნიერული მუშაობის სარბიელზე.

კურორტოლოგიისა და ფიზიოთერაპიის ინსტიტუტში გ. წითლანაძემ ფართო შემოქმედებითი გზა გაიარა პრეპარატორის თანამდებობიდან ინსტიტუტის ერთ-ერთი წამყვანი ფილიალის ხელმძღვანელამდე. მთელი მისი სამეცნიერო, პედაგოგიური და პრაქტიკული საქმიანობა მჭიდროდ იყო დაკავშირებული საკურორტო საქმესთან, რომელსაც თითქმის 50 წელი ემსახურა.

გიორგი წითლანაძის მოღვაწეობის მშრალი ქრონოლოგიაც კი იძლევა არსებით წარმოდგენას იმ დიდ საქმიანობაზე, რომელსაც იგი ეწეოდა როგორც ექიმი, მეცნიერი, ორგანიზატორი და პედაგოგი.

მეცნიერის კვლევითი მუშაობა გამოირჩევა მრავალფეროვნებით. 1927 წელს კურორტ ბორჯომის კლინიკურ სანატორიუმში ჯერ კიდევ სტუდენტი გ. წითლანაძე სწავლობდა ბორჯომის მინერალური წყლის გავლენას ნახშირწყლოვან ცვლაზე და ჟანგვითი პროცესებზე კლინიკისა და ექსპერიმენტის პირობებში. ამავე პერიოდს მიეკუთვნება მისი მონოგრაფია — „თბილისი, როგორც კლიმატურ-ბალნეოლოგიური კურორტი". მის ძირითად დებულებებს დღესაც არ დაუკარგავს მნიშვნელობა. განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს მისი შრომები გულ-სისხლძარღვთა სისტემით, რევმატიზმით და სახსრებით დაავადებულ ავადმყოფთა საკურორტო მკურნალობის საკითხებზე, რომელთა უმრავლესობა გამოქვეყნებულია ცენტრალურ და რესპუბლიკურ ჟურნალებში, შრომათა კრებულებში.

პროფესორი გ. წითლანაძე რევმატიზმისა და ბალნეოთერაპიის საკითხებისადმი მიძღვნილი მთელი რიგი საერთაშორისო კონგრესებისა და სიმპოზიუმების მონაწილეა.

გიორგი წითლანაძის სამეცნიერო და საორგანიზაციო საქმიანობაში განსაკუთრებული ადგილი უჭირავს კურორტ წყალტუბოს. სწორედ მას ეკუთვნის დიდი დამსახურება ამ, ერთ დროს სრულიად უცნობი, დღეისათვის კი მსოფლიო მასშტაბით ცნობილი კურორტის შესწავლასა და პოპულარიზაციაში. გ. წითლანაძე ყოველწლიურად თვეობით მიემგზავრებოდა წყალტუბოში და თითქმის ყველა მეცნიერული შრომის ხელმძღვანელი და მონაწილე იყო.

მისივე აქტიური მონაწილეობით წყალტუბოში შეიქმნა კურორტოლოგიისა და ფიზიოთერაპიის ინსტიტუტის ფილიალი, რომლის პირველი დირექტორი თვითონ გახლდათ. პირადად გ. წითლანაძის ხელმძღვანელობით წარმოებული მრავალი წლის გამოკვლევები შეჯამებულია მისივე ფუნდამენტურ მონოგრაფიაში „კურორტი წყალტუბო", რომელიც თავისი მნიშვნელობით სცილდება ერთი კურორტის ფარგლებს და დიდ ინტერესს იწვევს საერთოდ კლინიკურ-ბალნეოლოგიური თვალსაზრისით.

სიცოცხლის უკანასკნელი ათი წლის განმავლობაში გ. წითლანაძე მუშაობას განაგრძობდა გულ-სისხლძარღვთა პათოლოგიის საკურორტო მკურნალობის საკითხებზე. მისი წინადადებით და ხელმძღვანელობით ამ დარგის სპეციალისტები კურორტოლოგიის ინსტიტუტისა და მისი აფხაზეთის ფილიალის ბაზაზე სწავლობდნენ მიოკარდიუმის ინფარქტით ავადმყოფთა ეტაპური მკურნალობისა და სამედიცინო რეაბილიტაციის საკითხებს. მიღებული შედეგები საფუძვლად დაედო მეთოდიკურ წერილს, რომელიც საბოლოოდ დაამტკიცა სსრ კავშირის ჯანმრთელობის დაცვის სამინისტრომ სახელმძღვანელოდ ინფარქტგადატანილი ავადმყოფების ეტაპური მკურნალობისათვის.

გ. წითლანაძის შრომები მთელ რიგ დაავადებათა საკურორტო მკურნალობის, კერძოდ, გულ-სისხლძარღვთა სისტემის სხვადასხვა დაავადებაზე, წყალტუბოს მინერალური აბაზანების მოქმედების შესახებ ცნობილია მთელ საბჭოთა კავშირში. ამასთან პროფესორის სამეცნიერო მოღვაწეობის აღიარებად უნდა ჩაითვალოს მისი არაერთგზის არჩევა რევმატოლოგთა საკავშირო სამეცნიერო საზოგადოების, თერაპევტთა, კარდიოლოგთა, კურორტოლოგთა და ფიზიოთერაპევტთა რესპუბლიკური სამეცნიერო საზოგადოების გამგეობის წევრად.

სამეცნიეროსთან ერთად იგი მრავალმხრივ ორგანიზატორულ მუშაობას ეწეოდა. პროფესორ ი. კონიაშვილისა და გ. წითლანაძის ინიციატივით 1938 წელს ჩამოყალიბდა რევმატოლოგიური დისპანსერი, რომლის მთავარ ექიმად გ. წითლანაძე დანიშნეს. მან დიდი მუშაობა გასწია როგორც საკურორტო საქმის ორგანიზატორმა რესპუბლიკის ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს საკურორტო სამმართველოს მთავარ ექიმად მუშაობის პერიოდში. გადაჭარბებული არ იქნება, თუ ვიტყვით, რომ საქართველოში არ არსებობს არც ერთი დიდი თუ პატარა კურორტი, რომლის მშენებლობა-განვითარებაში მას მონაწილეობა არ მიეღოს. მისი ორგანიზატორული ნიჭი გამოვლინდა სამამულო ომის წლებში ჰოსპიტლის სამედიცინო ნაწილის უფროსად მუშაობის პერიოდშიც.

სამეცნიერო და ორგანიზატორული მუშაობის პარალელურად გ. წითლანაძემ 1930 წლიდან დაიწყო პედაგოგიური მოღვაწეობა. მისი ცხოვრების მთელი მომდევნო პერიოდი სიცოცხლის უკანასკნელ დღემდე — ეს არის პერიოდი ინტენსიური პედაგოგიური მუშაობისა, რომელიც განსაკუთრებით სრულყოფილი გახდა 1959 წლიდან ექიმთა დახელოვნების ინსტიტუტის კურორტოლოგიისა და ფიზიოთერაპიის კათედრის გამგედ არჩევის შემდეგ. პედაგოგიურმა გამოცდილებამ, საგნის ღრმა ცოდნამ, კათედრის შტატის შერჩევამ განაპირობა კათედრის მუშაობის აღიარება, ყოველწლიურად აქ მომზადებას გადიან ექიმები საბჭოთა კავშირის თითქმის ყველა კურორტიდან. სხვა ანალოგიურ კათედრათა შორის სსრ კავშირის ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს სათანადო სამმართველომ თბილისის ექიმთა დახელოვნების ინსტიტუტის კურორტოლოგიისა და ფიზიოთერაპიის კათედრას დაავალა სასწავლო გეგმებისა და პროგრამების შედგენა.

გ. წითლანაძე გარდაიცვალა 1976 წლის 6 თებერვალს. მისი მოღვაწეობა ჯეროვნად დაფასდა, მინიჭებული ჰქონდა მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის საპატიო წოდება, დაჯილდოებული იყო მთავრობის ჯილდოებით, საქართველოს უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და სსრ კავშირის ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს საპატიო სიგელებით.

ს. ხეჩინაშვილი,
სსრ კავშირის მედიცინის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი;

რ. ჩხეტია,
დოცენტი.

გამარჯობა, შორეულო მხარევ!

ხაბაროვსკსა და ვლადივოსტოკში თბილისის რუსთაველის სახელობის აკადემიური თეატრის გასტროლების გამო

2 აგვისტოს რუსთაველის თეატრის მსახიობები ეწვევიან ჩვენი უკიდეგანო სამშობლოს ერთ-ერთ ყველაზე შორეულ პუნქტს — ხაბაროვსკს. აქ, ამურისპირა ქალაქის მუსიკალური კომედიის თეატრში 3 აგვისტოს რუსთაველელები მაყურებელს უჩვენებენ ბ. ბრეხტის „კავკასიური ცარცის წრეს". ამ წარმოდგენით შორეული აღმოსავლეთის თეატრის მოყვარულნი პირველად გაეცნობიან ქართულ სასცენო ხელოვნებას და ეს დღე მრავალეროვნული საბჭოთა თეატრის ისტორიაში შევა კიდევ ერთ ღირსშესანიშნავ დღესასწაულად, საბჭოების ხალხების მეგობრობამ რომ შვა.

ხაბაროვსკელები სამი კვირის განმავლობაში გაეცნობიან იმ თეატრის ხელოვნებას, რომელიც ერთგულად იცავს ქართული საბჭოთა თეატრის გამოჩენილი რეფორმატორების კოტე მარჯანიშვილისა და სანდრო ახმეტელის დიდ ტრადიციებს. შეხვედრები სახელგანთქმულ დასთან მაყურებელს შესაძლებლობას მისცემს წარმოდგენა შეიქმნას ქართული სასცენო კულტურის დღევანდელ დონეზე, ცხადლივ იგრძნოს მისი მჭიდრო კავშირი ერის ცხოვრებასთან, ინტერნაციონალური მიმართულება, თითოეული მსახიობის მისწრაფება თავისი მუშაობით სერიოზულ შედეგებს მიაღწიოს თანამედროვეთათვის მნიშვნელოვანი სოციალური და ზნეობრივი პრობლემების წარმოჩენაში.

საგასტროლო აფიშაზეა თეატრის ოთხი საუკეთესო სპექტაკლი — ბ. ბრეხტის „კავკასიის ცარცის წრე", უ. შექსპირის „რიჩარდ III", თ. ჭილაძის „როლი დამწყები მსახიობი გოგონასათვის", ა. ვარსიმაშვილის, ლ. ფოჩხუაძისა და რ. სტურუას „ვარიაციები თანამედროვე თემაზე".

26 აგვისტოდან 10 სექტემბრამდე გასტროლები გაგრძელდება ვლადივოსტოკში — მ. გორკის სახელობის ზღვისპირეთის სამხარეო თეატრში, სადაც რუსთაველელები იგივე რეპერტუარით გამოვლენ.

შორეულ აღმოსავლეთში რუსთაველელთა დასის გამგზავრების წინ საქინფორმის კორესპონდენტმა ინტერვიუ ჩამოართვა საქართველოს სსრ კულტურის მინისტრს ო. თაქთაქიშვილს და თეატრის დირექტორსა და მთავარ რეჟისორს რ. სტურუას.

ო. თაქთაქიშვილი:

— წლევანდელი საგასტროლო ზაფხული ძალზე პასუხსაგებია რუსთაველის თეატრისათვის, რომელმაც მოხიბლა ევროპისა და ლათინური ამერიკის სასცენო ხელოვნების მოყვარულები და დამფასებლები. პასუხსაგებია, ვინაიდან საბჭოთა ხელოვანს ვალმოხდილობის გრძნობა მხოლოდ მაშინ უჩნდება, როცა იგი შემოქმედებითი ანგარიშით წარუდგება თავის თანამემამულეებს, მშრომელ ადამიანებს, რომლებსაც უყვართ და ესმით ჭეშმარიტი ხელოვნება. არასოდეს დამავიწყდება შეხვედრები კემეროვოსა და ჩელიაბინსკის, ნოვოსიბირსკისა და სვერდლოვსკის მშრომელებთან. ეს სწორედ ის აუდიტორიაა, რომელიც ხარბად ეწაფება ნამდვილ ხელოვნებას, უდიდესი ყურადღებით ადევნებს თვალს მოძმე ხალხების განვითარებას, მათი კულტურის მიღწევებს.

ამ დღეებში, რომლებსაც წითელ ზოლად გასდევს ორი ღირსშესანიშნავი თარიღისათვის — სსრ კავშირის შექმნის მე-60 წლისთავისა და გეორგიევსკის ტრაქტატის მე-200 წლისთავისათვის მზადება, განსაკუთრებული ძალით ვგრძნობთ ხალხთა ერთიანობის სიდიადეს, ერთხელ კიდევ თვალნათლივ ვრწმუნდებით, რაოდენ მდიდარია ჩვენი ხალხების მრავალეროვანი ოჯახის სულიერი სამყარო, როგორ ემსახურება საბჭოთა თეატრალური კულტურა საბჭოთა ხალხების ძმობის, მათი იდეური შეკავშირების, საერთოეროვნული სიამაყის ცხადი გრძნობის განმტკიცებას.

კარგ დროს მიემგზავრებიან ჩვენი მსახიობები შორეულ აღმოსავლეთში: აქ ისევე, როგორც მთელ საბჭოეთში, ამ დღეებში განსაკუთრებული შემოქმედებითი ატმოსფერო სუფევს, რომელიც შრომითს გმირობას წარმოშობს. რუსთაველელთა გასტროლები, შეხვედრები სამრეწველო საწარმოთა და მშენებლობათა მშრომელებთან, დიალოგები და დისკუსიები, მეგობრული საუბრები პროფესიულ საქმეებზე, საბჭოთა თეატრალური ხელოვნების — თანამედროვე ადამიანის იდეურ-ზნეობრივი აღზრდის მძლავრი საშუალების თეორიისა და პრაქტიკის პრობლემებზე თუ საჭირბოროტო ამოცანებზე, ეროვნულ კულტურათა ურთიერთგამდიდრებისა და ურთიერთგავლენის საკითხებზე, დარწმუნებული ვარ, უდიდეს სარგებლობას მოუტანს ჩვენს თეატრს, გაამრავალფეროვნებს მის შემოქმედებით პალიტრას.

რ. სტურუა:

— ალბათ, იოლი წარმოსადგენია, რა მღელვარებით ემზადება დასი ხაბაროვსკელ და ვლადივოსტოკელ მაყურებელთან შესახვედრად: ჩვენ წილად გვხვდა პატივი პირველებმა წარმოვადგინოთ ქართული საბჭოთა თეატრი ამ მხარეში. საგასტროლო აფიშაში შეტანილია სპექტაკლები, რომლებიც, ჩვენი აზრით, ყველაზე სრულად წარმოაჩენს კოლექტივის შემოქმედებით პოტენციალს, მის მისწრაფებას ილაპარაკოს სცენიდან საარსებო მნიშვნელობის პრობლემებზე. ჩვენ მივემგზავრებით მხარეში, სადაც ცხოვრობს რომანტიკოსი ხალხი რომელიც უშვებს საზღვაო გემებსა და ლითონსაჭრელ ჩარხებს, გმირულად შრომობს უმსხვილეს სამრეწველო საწარმოებში „შორდიზელსა" და „ამურფოლადში"... რომანტიკოსები აგებენ ელექტროსადგურებს, აშენებენ ახალ ქალაქებს. რომანტიკოსები წყვეტენ მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუციის გლობალურ პრობლემებს. რომანტიკოსები იღვწიან ადამიანის სრულყოფისათვის და ჩვენი თეატრი ძალ-ღონეს არ დაიშურებს, რათა ასეთ მაყურებელს ამაღლებული, რომანტიკული გრძნობები და აზრები განაცდევინოს.

ძალიან მინდა, რომ ჩვენმა გამოსვლამ შორეულ აღმოსავლეთში დაადასტუროს: ჩვენი თეატრის დაბადებული დიალოგი მაყურებელთან ამდიდრებს ადამიანის შინაგან სამყაროს, შთაუნერგავს მას სოციალურ ოპტიმიზმს, ისტორიულ და პირად პერსპექტივის გრძნობას, ჰუმანიზმისა და პროგრესის იდეალების გამარჯვების იმედსა და რწმენას.

(საქინფორმი).



„კომუნისტის" ფოტოკონკურსი

„როცა გზები ერთდებიან".

გ. ვახტანგაძის ფოტო.

ტილოებზე არიან სამშობლოს გუშაგები

თბილისის მხატვრის სახლში გაიხსნა საქართველოს მხატვართა ნამუშევრების გამოფენა, რომელიც მიეძღვნა ამიერკავკასიის წითელდროშოვანი სასაზღვრო ოლქის 60 წლისთავს.

მთავარი, რაც იპყრობს წარმოდგენილ ნამუშევართა ყურადღებას, არის ის, რომ ცოცხლადაა ასახული საბჭოთა მესაზღვრეების ცხოვრება, მათი ძნელი სამსახური. სურათების შექმნას წინ უძღოდა სახვითი ხელოვნების მოღვაწეთა მრავალრიცხოვანი მგზავრობა სამშობლოს სამხრეთი საზღვრების დამცველებთან. სამშობლოს საზღვრის დამცველთა ყოველდღიური გმირობა ღირსეულად ასახეს ტილოებზე ი. ფედოსეევამ, რ. კუპრეიშვილმა, ზ. ნანიკაშვილმა და სხვებმა.

(საქინფორმი).

მირზას სამშობლოში

... **ისევ** გადარეულან იორი და ქუსნო, კვლავ მწვანედ ბიბინებს ხაწირისა და ცხრაკარას არემარე. აქ ისევ უყვართ პოეზია, მაღლარი, ბედაური სიტყვის ფასი მშვენივრად იციან თიანელებმა. ამით კი დღითი დღე მეტი ელვარება ემატება მათი საამაყო შვილის მირზა გელოვანის სახელს, რომლის დაბადების 65-ე წლისთავს ფშავ-ხევსურებმა პოეზიის საღამო მიუძღვნეს.

მირზა ამ საღამოსაც კვლავ 27 წლის ჭაბუკივით დაბიჯებდა... სცენიდან ისმოდა მისეული ლექსები, ზოგი სტრიქონი კი სიმღერად იღვრებოდა, მირზა გელოვანის ხსოვნისადმი მიძღვნილ პოეზიის საღამოს პოეტი ალაზა ხაიაური უძღვებოდა.

გამოდიოდნენ თიანელი მოლექსეები ზურაბ ზატუაშვილი და სერგო ფოფხაძე, მანანა შიომღვდლიშვილი და ბაბალე ბაიაშვილი, ნიკო ბაგაშვილი და ირაკლი ალბუთაშვილი, გამახუდა გიგაური და ალექსანდრე დურაზაული, ვასილ ოთარაშვილი და ალექსი ფუნთუშაშვილი, ბაბალე შავერდაშვილი და იოსებ გარაშვილი...

ხალხური პოეზიის ნებისმიერ საღამოს დაამშვენებდა მამუკა ფიცხელაურის კაფიაობა ელიზბარ მგელიაშვილთან და ლევან ბოძაშვილთან, მეზობლებისა და მეგობრების ირაკლი ცალუღელაშვილისა და სილომონ აფციაურის ლიტერატურული „პაექრობა".

ფატი შუშანაშვილმა და ნანა არაბულმა წაიკითხეს მირზა გელოვანის ლექსები, არტანის სკოლის მასწავლებელმა მზია ჯიმშიტაშვილმა პოეზიის მოყვარულთ გააცნო მის მიერ ჩაწერილი რამდენიმე ხალხური ლექსი.

პოეზიის საღამოში მონაწილეობა მიიღეს თბილისის პუშკინის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტის სტუდენტებმა ლეილა არევაძემ, ნინო მოსაშვილმა, მაია წაქაძემ და მათმა ხელმძღვანელმა, დოცენტმა დავით კოტორაშვილმა.

მირზა გელოვანის იუბილესადმი მიძღვნილ პოეზიის საღამოზე დასწრება მარტო იმად ღირდა, რომ ალექსი ობგაიძემ მარად ჭაბუკი პოეტის დღემდე გამოუქვეყნებელი ლექსები წაიკითხა.

სამშობლოს უგალობდნენ თიანელი პოეზიის ტრფიალნი და ისმოდა მათი „ხარობდეს საქართველო".

ჯ. ქურხული,
„კომუნისტის" საკ. კორ.

წყალდიდობა წალენჯიხაში

25 ივლისს ქარიშხალმა და კოკისპირულმა წვიმამ, რომელმაც ორ საათს გასტანა, დიდი ზარალი მიაყენა წალენჯიხის რაიონის მეურნეობებს, საქინფორმის კორესპონდენტის თხოვნით ამ ფაქტს განმარტავს საქართველოს კომპარტიის წალენჯიხის რაიკომის მეორე მდივანი შ. ლატარია.

— დაზიანდა სოფლებს ჭალის, ნაკიფუს, მიქავას, ორჯონიკიძის, წალენჯიხის კოლმეურნეობების ოთხასი ჰექტარი სიმინდის ყანები, მთელ რიგ ადგილებში — ბოსტნეულის ნათესები. სტიქიამ საგრძნობი ზარალი მიაყენა მეცხოველეობის ფერმებსა და მოსახლეობის პირად დამხმარე მეურნეობებს.

ადიდებულმა მთის მდინარეებმა წალეკეს სოფლის გზები, დატბორეს საცხოვრებელი სახლების სარდაფები.

რაიონულ ცენტრში და ადგილებზე შეიქმნა სტიქიური უბედურების შედეგების ლიკვიდაციის ოპერატიული შტაბი. წყალდიდობისაგან დაზარალებული სოფლების მცხოვრებნი აქტიურად მონაწილეობენ აღდგენით სამუშაოებში — გაჰყავთ თხრილები, წმენდენ გზებს, ხელახლა აგებენ დანგრეულ ჯებირებს, საქართველოს სსრ მშენებლობისა და საავტომობილო გზების სამინისტროებმა სტიქიური უბედურებით დაზარალებულ უბნებს გამოუყო ტექნიკა, ცემენტი და სხვა მასალები. (საქინფორმი).

ყაბახი

„ნაპოლი"— პერსპექტივები და პრეტენზიები

მეოთხე ადგილი, რომელიც „ნაპოლიმ" დაიკავა იტალიის 1981-1982 წლების ჩემპიონატში, დაახლოებით ასახავს მის ახლანდელ ძალას და შესაძლებლობებს. პირველი ადგილისათვის ბრძოლის პრეტენზია მას არ შეეძლო ჰქონოდა (ჩემპიონობის პრეტენდენტი მთელი სეზონის მანძილზე სულ ორი იყო: „იუვენტუსი" და „ფიორენტინა"), მაგრამ საპრიზო ადგილს ეცილებოდა „რომასა" და „ინტერს". საბოლოო ანგარიშით ნეაპოლელებმა „ინტერი" ბურთების უკეთესი სხვაობით ჩამოიტოვეს, „რომას" კი ჩამორჩნენ.

როგორია „ნაპოლის" პერსპექტივები ახალი, 1982-1983 წლების ეროვნული ჩემპიონატის წინ? „იუვენტუსსა" და „ფიორენტინასთან" ისევ ძნელი იქნება გამკლავება. მკითხველი თვით განსაჯის: „იუვენტუსში" თამაშობენ მსოფლიო ჩემპიონები ძოფი, შირეა, ჯენტილე, კაბრინი, ტარდელი, როსი. ამასთან „იუვენტუსმა" გამოიყენა იტალიაში ეს-ეს არის ძალაში შესული ნებართვა თითოეულ კლუბში ორ-ორი უცხოელის მიწვევის შესახებ, „აირჩია" პლატინი (საფრანგეთი) და ბონეკი (პოლონეთი). ასეთი ძალებით „იუვენტუსს" შეუძლია ნებისმიერ ნაკრებს შეერკინოს. „ფიორენტინაც" საგრძნობლად გაძლიერდა. აქ გადავიდა პასარელა, ბერტონი (ორივე — არგენტინა) კი ადრევე თამაშობდა. დაუმატეთ მათ მსოფლიო ჩემპიონები ანტონიონი, გრაციანი, იტალიის ნაკრების სათადარიგო ფეხბურთელები ვერხოვოდი, გალი... ამგვარად, „ნაპოლის" ძალიან გაუძნელდება ჩემპიონობისათვის ბრძოლა. საპრიზო ადგილს კი იგი კვლავინდებურად დაუმიზნებს, ამასთან მეტოქეები ძველები იქნებიან, ძირითადად იგივე „რომა" და „ინტერი". „რომას" ჰყავს ფალკაო (ბრაზილია). ეს-ეს არის დაემატა „ინტერიდან" გადმოსული პროჰასკა (ავსტრია), აქვეა მსოფლიო ჩემპიონი კონტი, იტალიის ნაკრებში თამაშის დიდი გამოცდილების მქონე ცენტრალური თავდამსხმელი პრუცო. „ინტერს" ჰყავს მსოფლიო ჩემპიონები — ბერგომი, ორიალი, მარინი, ალტობელი, ორი უცხოელი ფეხბურთელი — დასავლეთგერმანელი ჰ. მიულერი და ბრაზილიელი ჟუარი.

გასაგებია, ასეთი კონკურენციის პირობებში „ნაპოლის" ხელმძღვანელობაც შეეცადა შეძლებისდაგვარად გაეძლიერებინა შემადგენლობა. თუ დაცვით ხაზს ისედაც არა უშავდა რა, „ნაპოლის" თავდასხმა აშკარად ჩამოუვარდებოდა კონკურენტებისას. ამიტომაც უწინარესად შეეცადნენ მოეძებნათ ნამდვილი „გოლეადორი". ჯერ კიდევ მსოფლიო ჩემპიონატამდე დაიდო ხელშეკრულება არგენტინის ნაკრების ცენტრფორვარდ რამონ დიასთან. დიასი დაიბადა 1959 წლის 29 აგვისტოს. იგი 171 სმ სიმაღლისაა, 67 კგ იწონის, 21-ჯერ ითამაშა არგენტინის ნაკრებში. ჯერ კიდევ 1979 წელს, როცა ჭაბუკთა მსოფლიო ჩემპიონატში მონაწილეობდა, დიასმა ყურადღება მიიპყრო დიდი შედეგიანობით. შემდეგ იგი შეიყვანეს არგენტინის პირველ ეროვნულ ნაკრებში, სადაც დაამტკიცა კიდეც თავისი სნაიპერული ღირსებები. 1981-82 წლებში მას „რივერ პლეიტში" (ბუენოს-აირესი) ავარჯიშებდა სახელოვანი დი სტეფანო. როგორც ცნობილია, დიასმა წარუმატებლად ითამაშა მსოფლიო ჩემპიონატში, მაგრამ ამას არ შეუცვლია „ნაპოლის" ხელმძღვანელობის აზრი არგენტინელი ბომბარდირის შესახებ. მას სრულიად კონკრეტული დავალება ექნება — „წამოსწიოს" ნეაპოლელთა თავდასხმა.

დიასი დიასია, მაგრამ როგორი ძალებით ხვდება „ნაპოლი" იტალიის ჩემპიონატს, რომელიც 12 სექტემბერს იწყება? თბილისელები იცნობენ იტალიელთა 1978 წლის შემადგენლობას, მაგრამ მას შემდეგ, გასაგებია, გუნდში გარკვეული ცვლილებები მოხდა. ამასთან ზოგიერთმა ვეტერანმა პოზიცია შეინარჩუნა. ეს უწინარეს ყოვლისა ითქმის გუნდის ყველაზე უფრო ხნიერ წევრზე, მეკარე კასტელინიზე. კასტელინი 37 წლისაა. ისევე, როგორც ადრე, ითვლება იტალიის ლიგის ერთ-ერთ უძლიერეს მეკარედ, მეტისმეტად საიმედოდ მოქმედებს, უნარიანად ხელმძღვანელობს მცველებს. როცა ეს საჭირო ხდება, კასტელინის ცვლის მეორე მეკარე ფიორე. ისიც საკმაოდ გამოცდილი გახლავთ.

„ნაპოლის" შემადგენლობაში გამოირჩევა ორგზის მსოფლიო ვიცე-ჩემპიონი, განთქმული ჰოლანდიელი ოსტატი კროლი, იგი უნივერსალური ფეხბურთელია, საჭიროების შემთხვევაში შეუძლია ითამაშოს ნებისმიერ ადგილზე — დაცვაში თუ შუა ხაზზე. კროლი, რომელიც მრავალგზის შეიყვანეს სხვადასხვა სიმბოლიურ ნაკრებში, ასაკის მიუხედავად (დაიბადა 1949 წელს) ერთ-ერთი წამყვანი ფიგურაა იტალიურ ლიგაში, იყო ჩემპიონატის № 1 მოთამაშე. საინტერესოა, რომ კროლი ამსტერდამის „აიაქსის" შემადგენლობაში სამგზის ფლობდა ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასს.

როგორც ცნობილია, იტალიის ნაკრების შემადგენლობაში, რომელმაც ესპანეთში მსოფლიო ჩემპიონობა მოიპოვა, „ნაპოლის" ფეხბურთელები არ ყოფილან. შესარჩევ მატჩებში და მსოფლიო პირველობისათვის მოსამზადებელ პერიოდში ნაკრების მწვრთნელმა ბეარზოტმა არაერთგზის გამოიძახა „ნაპოლის" ვეტერანი ცენტრალური მცველი ბელუჯი. იტალიის ლიგაში დიდად აფასებენ „ნაპოლის" კაპიტანს, კიდევ ერთ ცენტრალურ მცველ ბრუსკოლეტის. აქ მცველებად თამაშობენ აგრეთვე ციტერიო, ფერარიო და ამოდიო, შუა ხაზზე — ჯიდეტი, ვინაცინი, კრისციმანი. ამ უკანასკნელს ხშირად გააქვს გოლები.

თავდასხმაში თამაშობენ გამოცდილი ფეხბურთელები დამიანი, რომელიც თავის დროზე იტალიის ნაკრებში გამოდიოდა, პელეგრინი, აგრეთვე ბენედეტი, მუსელა, პალანკა. სექტემბრისათვის, გასაგებია, შეიძლება „ნაპოლის" შემადგენლობაში გარკვეული ცვლილებები მოხდეს. ეს ეხება მხოლოდ იტალიელ ფეხბურთელებს, ვინაიდან უცხოელების ლიმიტი (ორი ადგილი) შევსებულია.

აგვისტოს განმავლობაში იტალიის კლუბები ინტენსიურად ემზადებიან ხოლმე სეზონისათვის. იწყება ქვეყნის თასის გათამაშებაც, რომელიც ჯგუფებად, წრიული სისტემით მიმდინარეობს.

„ნაპოლი" თამაშობს უზარმაზარ „სან-პაოლოს" ან როგორც მას სხვანაირად უწოდებენ „ფუორიგროტას" სტადიონზე (90 ათასი მაყურებელი). იგი იტალიაში მხოლოდ რომის „სტადიო ოლიმპიკოს" ჩამორჩება.

მაშ ასე, „ნაპოლი" ბრძოლას იწყებს სამ ფრონტზე: იტალიის ჩემპიონატზე, ქვეყნის თასზე და, რაც მათთვის განსაკუთრებით საპრესტიჟოა, უეფას თასზე, სადაც ერთხელ უკვე ეთამაშა თბილისის „დინამოს". მას შემდეგ კი ოთხი წელი გავიდა...

გ. გამრეკელი.

14 წლის ფინალისტი

ახლახან ქალაქ პოლევსკოიში (სვერდლოვსკის ოლქი) დამთავრებულ საკავშირო ჩემპიონატის ნახევარფინალში დიდ წარმატებას მიაღწია 14 წლის ქეთინო არახამიამ. იგი პირველად თამაშობდა ასეთი დონის შეჯიბრებაში, მაგრამ არა მარტო ოსტატის ნორმას გადააჭარბა, არამედ საკავშირო ჩემპიონატის საგზურიც მოიპოვა. ახლა იგი ერთ-ერთი ყველაზე უფრო ახალგაზრდა ფინალისტი იქნება საკავშირო პირველობათა ისტორიაში. დეკემბერში ქეთინო მსოფლიოში განთქმულ დიდოსტატებს და ოსტატებს შეერკინება.

ქეთინო არახამია ოჩამჩირელია. მისი პირველი მწვრთნელი გახლდათ პირველთანრიგოსანი რ. შედია. მალე გოგონა დაწინაურდა მოსწავლეთა რესპუბლიკურ პირველობებზე, ვარჯიში განაგრძო ოსტატობის კანდიდატ გ. მაჭავარიანთან. ამავე დროს არახამია შევიდა მსოფლიოს ექს-ჩემპიონ მიხეილ ბოტვინიკის დაუსწრებელ საჭადრაკო სკოლაში. ამისათვის საჭირო იყო სათანადო ძალისა და მონაცემების ჩვენება. ქეთინოსთან გასაუბრება ჰქონდა ფრიად გამოცდილ სპეციალისტს, საბჭოთა კავშირის დამსახურებულ მწვრთნელს ი. როხლინს, რომელმაც აღნიშნა გოგონას უდავო საჭადრაკო ნიჭი. არახამია საქართველოს ჩემპიონი გახდა მოსწავლეთა შორის, საცხოვრებლად თბილისში გადმოვიდა და ამჟამად ოსტატ ი. ბოკუჩავასთან ვარჯიშობს.

რა თქმა უნდა, ჯერ ძალიან ადრეა ლაპარაკი ქეთინოს თამაშის სტილზე, რომელიც თანდათან უნდა ჩამოყალიბდეს. ამავე დროს არ შეიძლება არ აღინიშნოს გოგონას კარგი თეორიული მომზადება. იგი ჩინებულად ერკვევა იმ დებიუტების თავისებურებებში, რომელსაც იყენებს, უნდა აღინიშნოს პარტიის დროს ყურადღების სრული კონცენტრაციის უნარი, ჩინებული კომბინაციური „ხედვა" და დიდი შეუპოვრობა, რომლითაც არახამია ყოველ პარტიას ატარებს. პარტიის დროს ხშირად წარმოიქმნება უჩვეულო სიტუაციები, რომლებშიც გასარკვევად საჭიროა არა მარტო ვარიანტების ზუსტად გამოანგარიშება, არამედ ინტუიციაც. უნდა ითქვას, რომ ასეთ პოზიციებში ნორჩი მოჭადრაკე, მართლაც რომ კარგად ერკვევა. ეს მისი ნიჭის დამადასტურებელი გახლავთ.

ერთი სიტყვით, საქართველოს მოჭადრაკე ქალთა დიდ ოჯახს კიდევ ერთი ღირსეული წევრი შეემატა. ვუსურვოთ მას დიდი შემოქმედებითი და სპორტული წარმატებები.

გ. ფავლენიშვილი.

ტელევიზია

30 ივლისი

მოსკოვი

პირველი პროგრამა. 9.00 — „ვრემია". 9.45 — მოსწავლეთა შეხვედრა საბჭოთა კავშირის გმირთან, ვიცე-ადმირალ გ. ი. შჩედრინთან. 10.30 — „მსოფლიო კინოკამერის თვალით". „ფირმის საქმეებზე". ნაწილი II. 11.40 — დ. შოსტაკოვიჩი — კვინტეტი. თხზულება 57-ე. 12.15, 15.30 — ახალი ამბები. 15.50 — დოკუმენტური ფილმები რკინიგზელის დღესთან დაკავშირებით. 16.50 — „იცოდე და ისწავლე". სამეცნიერო-შემეცნებითი პროგრამა მოსწავლეთათვის. 17.50 — რუსული სიმღერის აკადემიური გუნდის კონცერტი. 18.25 — მოსკოვი და მოსკოველები. 18.55 — ბურატინო გამოფენაზე მიიჩქარის. 19.15 — „თანამეგობრობა". ტელეჟურნალი. 19.45 — დღეს მსოფლიოში. 20.00 — ხალხური შემოქმედება. ტელემიმოხილვა. 20.35 — „მსოფლიო კინოკამერის თვალით". „ფირმის საქმეებზე". ნაწილი III. 22.00 — „ვრემია". 22.35 — სომხეთის სახელმწიფო საესტრადო ორკესტრის კონცერტი. 24.00 — დღეს მსოფლიოში.

მეორე პროგრამა. 9.00 — დილის ვარჯიში. 9.20 — სამეცნიერო-პოპულარული ფილმები. 9.40 — მხატვრული ტელეფილმი. 10.45 — მულტფილმები. 11.15 — საჭადრაკო სკოლა. 11.45 — ინგლისური ენა. 12.15 — ფილმი — ბავშვებს. „დუბრავკა". 13.35 — კომპოზიტორ ა. ნოვიკოვის სიმღერებს ასრულებს საბჭოთა არმიის ა. ალექსანდროვის სახელობის ორგზის წითელდროშოვანი აკადემიური სიმღერისა და ცეკვის ანსამბლი. 14.35 — სოციალისტური სახალხო მეურნეობა. 15.20 — მღერის ე. კანიავა. 15.50 — ახალგაზრდული საღამო სსრ კავშირის მ. გორკის სახელობის სამხატვრო აკადემიურ თეატრში. 16.50, 19.00 — ახალი ამბები. 19.20 — დოკუმენტური ფილმი „დიდი წრის რკალი". ვ. პ. ჩკალოვის ეკიპაჟის ჩრდილოეთ პოლუსით ამერიკაში გადაფრენის შესახებ. 20.25 — ფეოდოსიის სურათების გალერეა. ი. კ. აივაზოვსკი. 21.00 — „ძილი ნებისა, პატარებო!". 21.15 — დონელ კაზაკთა სიმღერისა და ცეკვის ანსამბლის კონცერტი. 22.00 — „ვრემია", 22.35 — მხატვრული ფილმი „თეთრი წყვდიადი".

თბილისი

პირველი პროგრამა. 9.00 — „ვრემია" (მ.). 9.40 — „ჩვენს დიად სამშობლოში". — სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „მამისეული სახლის ზღურბლი". 10.00 — „მოამბე". 10.30 — სატელევიზიო კინოდარბაზი ბავშვებისათვის „ცისკარა" — სატელევიზიო მხატვრული ფილმი „დაბინდული სიჭაბუკის გარიჟრაჟზე". 17.30 — გავუფრთხილდეთ ეროვნულ საუნჯეს (ნოქალაქევი) — განმეორებით. 18.00 — განცხადებები. 18.05 — ბავშვებისათვის — „წყაროსთვალი" — სატელევიზიო ჟურნალი. 18.45 — „ჩვიდმეტი ძირითადი". 19.30 — „რედაქციაში წერილი მოვიდა" — „თქვენი სიგნალების ექო". 20.00 — „მოამბე". 20.30 — მხატვრული ფილმი — „ძველმოდური კომედია". 22.00 — „ვრემია" (მ.). 22.35 — „სსრკ-60". — „თეატრალური პანორამა". 23.55 — ახალი ამბები.

მეორე პროგრამა. 17.10 — სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „ჟარჟინი". 17.20 — განცხადებები. 17.25 — მხატვრული ფილმი — „ოკეანე".

ვაჟკაცობა

დამრღვევნი დააკავეს

შუაღამისას საგანგაშო ნიშანმა საგუშაგოს მთელი პირადი შემადგენლობა ფეხზე დააყენა. რამდენიმე წუთში მესაზღვრეები უკვე ამოქმედების უბანზე იყვნენ. მაგრამ როგორ გაოცდნენ, როცა ორი უკვე ხელ-ფეხშეკრული, დამრღვევი ნახეს.

იქვე იდგნენ სასაზღვრისპირა სოფლის ჭაბუკები ხ. ხარატრიანი, რ. არუთინიანი, ი. ბუჟურიანი. შინ მიმავლებმა დაინახეს, რომ საზღვრიდან ორი კაცი მორბოდა და ბუჩქნარში მიიმალა. ისინი სასაზღვრისპირა სოფლის მცხოვრებლები არიან და მაშინვე მიხვდნენ, რაშიც იყო საქმე. გზა გადაუჭრეს, გაიტრუნენ და როცა უცნობები გაუსწორდნენ, ჭაბუკები წინ გადაუდგნენ. ჰკითხეს, ვინა ხართ და საით გაგიწევიათ, მაგრამ უცნობებმა პასუხი ვერ გასცეს. ბიჭებმა სწრაფად შეუკრეს ხელ-ფეხი დამრღვევებს. ამ დროს მესაზღვრეებიც მოვიდნენ.

ამიერკავკასიის წითელდროშოვანი სასაზღვრო ოლქი.

„იზვესტია". 29/VII.

მ. კ. გოლოვასტიკოვი

68 წლისა გარდაიცვალა მიხეილ კუზმას ძე გოლოვასტიკოვი, რესპუბლიკის დამსახურებული ჟურნალისტი, გადამდგარი პოლკოვნიკი, საქართველოს სსრ ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის სახელმწიფო კომიტეტის სამხედრო-პატრიოტული აღზრდის განყოფილების უფროსი რედაქტორი.

1950 წელს მიიღო მან პროფესიული განათლება მოსკოვის ლენინის სახელობის სამხედრო-პოლიტიკურ აკადემიაში და მუშაობა დაიწყო შორეული აღმოსავლეთის სამხედრო ოლქის გაზეთის „სუვოროვსკი ნატისკის" პასუხისმგებელი რედაქტორის მოადგილედ. მაგრამ ყველაზე სრულად მისი ორგანიზატორული ნიჭი, ჟურნალისტისა და სამხედრო კოლექტივის ხელმძღვანელის გამოცდილება გამოვლინდა ამიერკავკასიის წითელდროშოვანი სამხედრო ოლქის გაზეთის „ლენინსკოე ზნამიას" პასუხისმგებელ რედაქტორად მუშაობის პერიოდში. 14 წლის მანძილზე — 1956-197 წლებში იდგა სათავეში პოლკოვნიკი მ. კ. გოლოვასტიკოვი გაზეთის კოლექტივს.

1970 წელს იგი გადადგა და დარჩა მოქმედ ჟურნალისტთა მწყობრში, მთელი თავისი ენერგია და კომუნისტური მგზნებარება მოახმარა რესპუბლიკის არმიელი და სამოქალაქო ახალგაზრდობის სამშობლოს პატრიოტებად აღზრდას. მთელი ამ წლების მანძილზე სიცოცხლის ბოლომდე იგი სათავეში ედგა საქართველოს სსრ ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის სახელმწიფო კომიტეტის სამხედრო-პატრიოტული აღზრდის განყოფილების სატელევიზიო განყოფილებას. მის სახელთან არის დაკავშირებული ტელეგადაცემის — „სამხრეთის საზღვრების სადარაჯოზე". — ჩამოყალიბება და პროფესიული დაოსტატება, რომელსაც იგი მთელ თავის ძალ-ღონეს ახმარდა. ზოგჯერ გვეგონებოდათ, მისი ენერგია დაუშრეტელიაო. ახლა გულისტკივილით აღვნიშნავთ, რომ შევცდით... ყველას, ვინც მას იცნობდა, მის გვერდით უმუშავია, ძალზე დააკლდება ამ კეთილი, გულისხმიერი ადამიანის მეგობრული სიტყვა და მამობრივი რჩევა-დარიგება.

მ. კ. გოლოვასტიკოვის — პატიოსანი, 43 წლის პარტიული სტაჟის მქონე პრინციპული ჟურნალისტის მრავალი წლის უზადო საქმიანობა აღნიშნულია II ხარისხის სამამულო ომის, წითელი ვარსკვლავის, საპატიო ნიშნის ორდენებით, მრავალი მედლით, მათ შორის უცხოური მედლებით, წლების მანძილზე იგი არჩეული იყო საქართველოს სსრ ჟურნალისტთა კავშირის გამგეობაში.

მას უსაზღვროდ, მთელი სულით და გულით უყვარდა საქართველო. და ამ სიყვარულის ჯილდო იყო საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელი, გულწრფელი პატივისცემა, რომლითაც ჩვენი ადამიანები ეკიდებოდნენ მას.

მიხეილ კუზმას ძე გოლოვასტიკოვის ხსოვნა მარად დარჩება ჩვენს გულში.

ამიერკავკასიის წითელდროშოვანი სამხედრო ოლქის პოლიტსამმართველო; საქართველოს სსრ სახტელერადიო; საქართველოს ჟურნალისტთა კავშირი; ამიერკავკასიის წითელდროშოვანი სამხედრო ოლქის გაზეთის „ლენინსკოე ზნამიას" რედაქცია.

რედაქტორი
გ. ბედინეიშვილი.

КОМУНИСТИ ИНДЕКС 66434 უე 09330 საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სტამბა, ლენინის ქ. 14. იბეჭდება ოფსეტური წესით. საგაზეთო კორპუსი, ხოშარაულის 29.

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20